# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 31 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 221 (6321)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## საქართველო - ათასი ტყუილის ქვეყანა



9



## „წადი, წადი!“ ლოზუნგი არ არის. ლოზუნგი არის „დამიბრუნე საარჩევნო უფლება!..“

3

## „მოსკოვში ჩავედი არა კაპიტულაციისთვის, არამედ იმისთვის, რომ საქართველომ გაერთიანების შანსი შეინარჩუნოს“



3



ალექსანდრე ებრალიძე:

## აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილებია

5

## მოოქროვილი მედალიონის უკანა მხარე

8



## ოპოზიცია უგულავას ახალ პროექტს ერთხმად გმობს



2

## ხელისუფლებას ადანაშაულებენ ქვეყნის ეკონომიკის დივერსიაში



2

№ 221. შაბათი, 31 ოქტომბერი, 2009 წელი.

◎ გამოხმაურება

# ოპოზიცია უგულავას ახალ პროექტს ერთხმად გმობს

**ქალაქის მერი საკრებულოში ახალი ინიციატივით გამოვიდა და დედაქალაქის 6 რაიონის 30 ტერიტორიულ ერთეულად დაყოფის გეგმა წარუდგინა. უგულავას განცხადებით, პროექტის მიზანია მოსახლეობისთვის მომსახურების გამარტივება, თითოეულმა მოქალაქემ თავისივე უბანში მარტივად და დროულად რომ მიიღოს ნებისმიერი სახის სოციალური, იურიდიული და სხვა მუნიციპალური მომსახურება.**





რიგითი ტელემაყურებელი უმალ მიხვდება, რომ ეს მოახლოებული მერის არჩევნებისთვის მორიგი პიარკამპანიის ახალი ტალღაა. ამ აზრს ოპოზიციონერი ლიდერები და პარტიები ერთსულოვნად ეთანხმებიან. მერის ახალმა ინიციატივამ ოპოზიციაში ოპერატიული გამოძახილი ჰპოვა. ლეიბორისტული პარტია მათ შორის ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც თბილისის საკრებულოს წევრმა პაატა ჯიბლაძემ მერის პროექტი მოისმინა, პროტესტის ნიშნად საკრებულოს სხდომა დატოვა.

**პაატა ჯიბლაძე, ლეიბორისტული პარტიის წევრი:** ეს პროექტი დამატებით ხარჯებს მოითხოვს, ხელისუფლება კი ამ დროს „ქამრების შემოჭერაზე“ საუბრობს და თავის თავს ეწინააღმდეგება. ეს პროექტი ხელისუფლებას მისცემს საშუალებას, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თითოეული უბანი მაქსიმალურად გააკონტროლოს.

**ლაშა ჩხარტიშვილი, კონსერვატიული პარტია:** მთლიანად ვეთანხმები ოპოზიციონერი კოლეგების მოსაზრებებს. ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება — მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის გამართული პიარკამპანიის ნაწილია. ცუდი ის არის, რომ მოხდება ქალაქის ბიუჯეტიდან უამრავი თანხის არამიზნობრივი ხარჯვა. ახალი ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებად თავის ნათესავ-მეგობრებს დააყენებენ. ქალაქისა და მოსახლეობისთვის კი მერის ახალ ინიციატივას არანაირი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

**მანანა ნაჭყებია, „ალიანსი საქართველოსთვის“:** ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი და, მით უმეტეს, პოლიტიკოსი მიხვდება, რომ უგულავას საკრებულოსთვის წარდგენილი ინიციატივა სხვა არაფერია, თუ არა მომავალი არჩევნებისთვის მზადება. ამ დაყოფას სხვა უარესი ნაბიჯებიც მოჰყვება. მათ აქვთ ძალაუფლება და, სამწუხაროდ, ბოროტად იყენებენ. ეს ხელს შეუშლის ჩვენს მოლაპარაკებებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. თუ ასეთ ერთპიროვნულ და გაუაზრებელ ნაბიჯებს დგამენ, დიალოგს არც აზრი აქვს და არც შედეგი მოჰყვება. ხელისუფლებამ ამ ინიციატივით არასწორი ძალდება განახორციელა.

როგორც ჩანს, საპარლამენტო ოპოზიციაც არ იზიარებს უგულავას ნოვატორულ იდეებს, რადგან ამ შემთხვევაში კანონდარღვევას ექნება ადგილი.

**გია ცაგარეიშვილი, პარლამენტის წევრი:** ახალ ინიციატივასთან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. არა მგონია, დამთხვევა იყოს ის, რომ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფში და საკრებულოში ერთდროულად შევიდა ცვლილებების ახალი პაკეტი, რომელიც დედაქალაქის ახალ ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფას ითვალისწინებს. იმის გარდა, რომ მოხდება უამრავი ფულის არამიზნობრივი ხარჯვა, ხელისუფლება უფრო მეტად გააძლიერებს კონტროლს არჩევნებზე, რომელიც ჯერ დანიშნულიც არ არის. ისინი ცდილობენ მარწუხები მოგვიჭირონ, რადგან არჩევნების ძალიან ეშინიათ.

იმის გარდა, რომ ხელისუფლებას ეს პროექტი ნამდვილად მისცემს დამატებით ბერკეტს არჩევნების გასაკონტროლებლად (დედაქალაქში მათ დიდი პერსპექტივა არა აქვთ), აუცილებლად გამოიწვევს დამატებით ხარჯებსაც. უგულავა ამტკიცებს, თითოეულ ტერიტორიულ ერთეულზე გამგეობიდან გადანაწილდებაო, როგორც ჩანს, მისი უკვე ალარავის სჯერა, ან რა გასაკვირია?

**ანა წიწილაშვილი**

◎ SIC!

# გადავარჩინოთ დამოუკიდებელი ტელეკომპანია „25-ე არხი“

ქალაქ ბათუმისა და აჭარის მოსახლეობა შეშფოთებულია დამოუკიდებელი კომპანია „25-ე არხის“ წინააღმდეგ ხელისუფლების აღვირახსნილი ძალადობის გამო. ჯერ კიდევ 2007 წლის 7 ნოემბერს სპეცდანიშნულების რაზმის ყოვლად უკანონო ოპერაციის შემდეგ, ეს არხი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დახურეს და მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველისა და ევროკავშირის წარმომადგენლის პიტერ სემნების ენერგიული ჩარევის შედეგად მოხერხდა მისი მაუწყებლობის აღდგენა.



„25-ე არხი“ ერთადერთი დამოუკიდებელი ტელეარხია აჭარაში და იგი მართალი სიტყვისთვის ისჯება — ხელისუფლებას სურს, იგი ნაცმოძრაობის იდეოლოგიას დაუქვემდებაროს ისევე, როგორც „I არხი“, „რუსთავი-2“, „იმედი“ და აჭარის ტელევიზია, რომლებიც ხელისუფლების რუპორადაა გადაქცეული.

ამგვარი ძალადობა უცხო არ არის „25-ე არხისთვის“. 2000 წლის 19 თებერვალს, ძველი რეჟიმის პირობებში, ხელისუფლებამ მის დამფუძნებლებს ძალადობით გადააფორმებინა აქციათა საკონტროლო პაკეტი ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირზე და მხოლოდ მრავალწლიანი სასამართლო დავის შემდეგ დაიბრუნა იგი კანონიერმა მფლობელმა. ამჟამად კი ახლანდელმა ხელისუფლებამ ა. აბაშიძის რეჟიმისდროინდელი 280 ათასი ლარი დავალიანება გამოჩხრიკა და ახალი კამპანია წამოიწყო არხის წინააღმდეგ. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს დავალიანება არხს მაშინ დაუგროვდა, როცა იგი სხვის მფლობელობაში იყო უკანონოდ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს დავა ტელეარხის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილების აღმსრულებელი კი აჭარაში არავინაა. უფრო მეტიც: ამ გადაწყვეტილების აღსრულების მოტივით ა. წ. 9 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ კვლავ „25-ე არხის“ გამამტყუნებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. ამ გადაწყვეტილებით, ტელეკომპანიის ქონება აუქციონის წესით გაყიდვას ექვემდებარება. ამ მოტივით შესაბამისმა უწყებამ ტელეარხის ანგარიში დააყადაღა, რამაც ახალი სანქცია-საურავები წარმოშვა. ბათუმის საქალაქო სასამართლო „აბათილებს“ უზენაესი სასამართლოს განჩინებას. სასამართლოც ამას ჰქვია! აჭარის მთავრობამ უნდა იტრაბახოს — სასამართლოც მაქვს და სამართალიცო!

სურათი ნათელია: ხელისუფლებას სურს, „25-ე არხი“ აჭარის ტელევიზიის მსგავსად (რომლის ბიუჯეტი, სხვათა შორის, 6 მილიონიაძ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესს დაუქვემდებაროს და ამით აჭარის მოსახლეობას მოუსპოს თავისუფალი ინფორმაციის მიღების საშუალება.

ყველა ქართველის ვალია, გადაარჩინოს ხელისუფლების მიერ ფეხქვეშ გათელილი დემოკრატიული და ეროვნული ცნობიერებისა და იდეოლოგიის გამომხატველი ინსტიტუტები.

„ქართული აკადემიის“
აჭარის წარმომადგენლობა
ქ. ბათუმი.
27 ოქტომბერი, 2009 წელი.

◎ ინფორმაცია

## „აფხაზეთი საქართველოს არასოდეს დაუბრუნდება“

**სეპარატისტული** აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის სტატუსის საკითხი უკვე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია. ეს განცხადება სერგეი შამბამ ესტონური გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

ამავე ინტერვიუში სერგეი შამბა აცხადებს, რომ 1992-1993 წლის ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს აფხაზი ხალხი „აფხაზი ხალხის გენოციდის“ კვალიფიკაციას აძლევს. ყოველივე ამაში აფხაზი ხალხი საქართველოს მოსახლეობას ადანაშაულებს, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობას. მაშინ როდესაც ომი დაიწყო, აქ მაცხოვრებელი ქართველებისა და მეგრელების უმრავლესობა საოკუპაციო ჯარის მხარეს დადგა და იარაღის ლულა იმ აფხაზ ხალხს მიუშვირა, რომელთანაც ერთად ისინი მთელი ამ დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ,— აცხადებს სერგეი შამბა და დასძენს, რომ რაც შეეხება დევნილებს „იქ სადაც იყო ომი, არიან დევნილებიც“.

— აქედან არავინ არავის ძალით არ გაუყრია და ჩვენ ეს ომი არ დაგვიწყია. ამიტომაც ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ რამდენი ხანი უნდა გავიდეს იმისათვის, რომ აფხაზმა ხალხმა ქართველი ხალხის მიმართ დამოკიდებულება შეცვალოს. ჩემი აზრით ამისაკენ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლების მიერ აგრესიულ რიტორიკაზე უარის თქმა და მათ მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება იქნება, — აცხადებს სერგეი შამბა.

მისივე თქმით, საქართველოს არ აქვს არც იურიდიული და არც ისტორიული უფლება მოითხოვოს აფხაზეთის დაბრუნება.

— აფხაზეთის სტატუსის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უკვე გადაწყვეტილია. ჩვენ გვაქვს საქართველოს შემადგენლობაში ცხოვრების გამოცდილება, რომელმაც არაფერ კარგამდე ჩვენ არ მიგვიყვანა. აფხაზეთსა და საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრება მხოლოდ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში შეეძლებათ, — აცხადებს სერგეი შამბა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ბრიფინგი პარლამენტში

# ხელისუფლებას ადანაშაულებენ ქვეყნის ეკონომიკის დივერსიაში

**საქართველოს პარლამენტში გაიმართა ბრიფინგი, რომელზეც დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა და ჟურნალისტური გამოძიების ბიურომ ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკის დივერსიაში დაადანაშაულა. ამასთან დაკავშირებით განცხადება გია ცაგარეიშვილმა ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცის“ დირექტორთან თენგიზ ჩხიკვაძესთან ერთად გააკეთა.**

როგორც ჩხიკვაძემ აღნიშნა, ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო ორი წლის განმავლობაში იკვლევს გზების დეპარტამენტში შექმნილ მდგომარეობას და მისი თქმით, ამ სფეროში აღმოჩენილია უამრავი დარღვევა.

ცაგარეიშვილი განმარტავს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა და ქვეყანას შორის გაფორმდა მრავალმილიონიანი საკრედიტო ხელშეკრულებები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

რაც შეეხება კონკრეტულად საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ამისათვის აღებული კრედიტების საერთო ჯამური ოდენობა აღემატება 130 მილიონ დოლარს. თუმცა ჟურნალისტურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ეს თანხა იხარჯება არამიზნობრივად და, რაც მთავარია, ხდება ქვეყანაში გზების მშენებლობის დარგის მიზანმიმართული ნგრევა.

ცაგარეიშვილისა და ჩხიკვაძის განმარტებით, ქართული მხარის მიერ გზების მშენებლობისას გამოცხადებულ ტენდერებში ისეთი პირობებია ჩადებული, რომელიც ქართულ კომპანიებს გამარჯვების შანსს უკარგავს და შესაბამისად მთელი ფული გადადის უცხოური კომპანიების ხელში.

— ტენდერის პირობაში ჩადებულია, რომ კომპანიას უნდა ჰქონდეს გზების მშენებლობის გამოცდილება. ქვეყანაში გზების რეაბილიტაცია დაიწყო ბოლო წლების განმავლობაში და თუ კომპანიები არ დასაქმდებიან, ისინი ამ გამოცდილებას საიდან შეიძენენ? — კითხულობს ცაგარეიშვილი და აღნიშნავს, რომ ეს პირობა სწორედ იმიტომ არის ჩადებული, რათა ქართველმა კომპანიებმა გამარჯვება ვერ შეძლონ და ფული გადავიდეს უცხოური კომპანიების ხელში, რომელთა უკან, ცაგარეიშვილის თქმით, სავარაუდოდ, ქართველი ჩინოვნიკები დგანან.



ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ მან სათანადო შეკითხვით უკვე მიმართა სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებსაც ამ საკითხზე პასუხის გაცემა ევალებათ, ასევე მსოფლიო ბანკს, რადგან მისი თქმით, როდესაც მსოფლიო ბანკი საქართველოსთან სასესხო ხელშეკრულებებს აფორმდებდა, ყველგან ჩადებული იყო პირობა, რომ ეს თანხა უნდა მოხმარებოდა ქვეყანაში ეკონომიკის რეაბილიტაციას და არსად არ იყო გაწერილი ტენდერის პირობა, რომ კომპანიას მუშაობის გამოცდილება უნდა ჰქონოდა. შესაბამისად ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ ხდება მსოფლიო ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევა და მიიჩნევს, რომ ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებმა იციან, ჩვენი გაზეთი რა ხანია განგაშს სტეხს ამ უსამართლობის გამო და რეგულარულად აქვეყნებს ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცის“ მიერ მოპოვებულ მასალებს ამ და სხვა სამართალდარღვევათა შესახებ, მაგრამ ვინაა გამგონი?

**მურად ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**

## ◉ რადიკალური ოპოზიცია

***ოპოზიცია ნოემბრის დასაწყისში კვლავ აქციების გამართვას გეგმავს. ლიდერები აცხადებენ, რომ მათ სამოქმედო ტაქტიკა შეცვალეს და ხელისუფლებასთან ბრძოლას ახალი სტრატეგიით იწყებენ. შეძლებს თუ არა ოპოზიცია საზოგადოების მობილიზებას და ქვეყანაში არსებული ნიჰილიზმის გაფანტვას, ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე ესაუბრა.***

# „წადი, წადი!“ ლოზუნგი არ არის. ლოზუნგი არის „დამიბრუნე საარჩევნო უფლება!..“



— ოპოზიცია ამ შემადგენლობით, ამ განწყობით, ამ დონით, რომელიც დღეს არის, ჩემი აზრით, არის აბსოლუტურად უპერსპექტივო. უნდა გაერთიანდნენ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ კადრი არ ყოფნით. მე ვლაპარაკობ კვალიფიციურ კადრზე. შეიძლება ვიღაცას ეკონომისტი ჰყავს საშუალო, ვიღაცას საშუალოზე ცოტა უკეთესი, ერთს კიდევ ჰყავს ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის საკითხებში ჩახედული, დანარჩენებს არავინ არ ჰყავთ, ასე რომ, სააზროვნო გუნდი, რომელიც რაღაც კონდიციას აკმაყოფილებს, ამ პარტიებში რაღაც გაჭირვებით შეკოწიწდება, მაგრამ ცალკე არც ერთს არ ჰყავს კადრები, ამიტომაცაა, რომ ინტელექტი სძულთ, როგორც კლასობრივი მტერი. ასეთი მიდგომით პოლიტიკა ვერ გაკეთდება. არც ერთ მათგანს, არა მარტო იმიტომ, რომ გულწრფელნი არ არიან, არამედ, იმიტომ, რომ ინტელექტი არ ჰყოფნით, პროგრამა არ აქვთ წარმოდგენილი ხალხისთვის, ამიტომაც ქართველი ერის ნამდვილი პოტენციალი ამ პარტიებში არ მიდის. თუ იქნება ერთი პარტია, იქ მოვა პოტენციალი, იმას დონე ექნება. მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატებული ბრძოლა ამ ხელისუფლებასთან.

**— როგორ ფიქრობთ, რა შეცდომები მოუვიდა ოპოზიციას აქციების დროს და რატომ ვერ მიაღწია კონკრეტულ შედეგებს?**

— მათ სააკაშვილი არ დაგმეს და არ უარყვეს იმ ძირითადი დანაშაულისთვის, რომელიც მას აქვს. ის არის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მტერი. ის არის ქვეყნისა და სახელმწიფოს მოღალატე რუსეთის სასარგებლოდ. ის რომ არადემოკრატია, რომ კაციჭამიაა, რომ ქიმიური გაზებით მოსახლეობის მომწამვლელი და ქურდბაცაცაა და ა. შ. — მეორე ბრალდებაა. პირველი ბრალდება მათ სააკაშვილს არ წაუყენეს. მეორე, მათ საზოგადოებას, ერს, ქვეყანას ვერ შესთავაზეს ვერანაირი პროგრამა. მესამე, ის ენერგია, რომელსაც მობილიზაცია გაუკეთეს და ქუჩაში გამოიყვანეს, არ წარმართეს სწორი მიმართულებით. მათ წარმართეს უპერსპექტივო ლოზუნგის მიმართულებით. „წადი, წადი“ ლოზუნგი არ არის. ლოზუნგი არის „დამიბრუნე საარჩევნო უფლება, მომეცი სწორი საარჩევნო კანონი!“ ამაზე ვერავინ გეტყვის, ტყუილად გამოდიხარ ქუჩაშიო. მეორე: „დანიშნე ვადამდელი არჩევნები, იმიტომ, რომ ხარ არალეგიტიმური, ხელისუფლებაში ხარ დარჩენილი ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შედეგად და მესამე, „ჩაატარე რეალური არჩევნები, ანუ მიმალებინე მონაწილეობა არჩევნებში“. სამივე ეს არის ძალისმიერი ამოცანა. უნდა გამოსძალო საარჩევნო კანონი, უნდა გამოსძალო, რომ დანიშნოს ვადამდელი არჩევნები და ფიზიკურად უნდა მოუგო არჩევნების დღეს, დათრგუნო პოლიციის ჩარევა, კარუსელი და ა. შ. აი, ეს არის რეალური ამოცანა. ამ რეალურ მიმართულებას ოპოზიციამ ხალხი აცილა. ამის გამო მიმაჩნია, რომ ამათი ახალი გააქტიურება არის ნაფტალინიდან ფიტულების ამოღება.

**— ოპოზიციის ლიდერთაგან, თქვენი აზრით, ვინ იმსახურებს ნდობას და საერთოდ, როგორ დაახასიათებდით მათ?**

— ოპოზიციის ყველა ლიდერი გულწრფელი არ არის, ბურჯანაძე, ჩემი აზრით, რუსებისაა, ნათელაშვილი, ცხადია, რუსების ყურმოჭრილი ფინიაა, ნოღაიდელზე ლაპარაკი ზედმეტია, ფორუმის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, რუსებისაა, ალასანია გაურკვეველი ფიგურაა ჯერჯერობით. დიდი ალბათობაა, რომ ის იმავე ფერისაა, რაც სააკაშვილი, ანუ შესახედად დასავლური და სინამდვილეში აღმოსავლური. ვინც გულწრფელია და გულით არის მოსული პოლიტიკაში, ის ადამიანები უნდა გაერთიანდნენ. ევროპული ანდაზაა, „ჯობია პირველი კაცი იყო სოფელში, ვიდრე მეორე კაცი იყო ქალაქში“. ეს ანდაზა პარტიულ მუშაობაში არ ჭრის. სოფლის დონეზე სახელმწიფოს პოლიტიკა არ გაკეთდება. უნდა შეკრა ისეთი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც მობილიზებას გაუკეთებს საქართველოს რეალურ პოტენციალს. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ გაერთიანებით.

**— ოპოზიციას რომ მიეღწია მიზნისათვის, როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებდნენ ისინი საზოგადოების მოლოდინების გამართლებას?**

— ამ მეთოდებით, რომელიც ოპოზიციამ დღევანდლამდე იხმარა, შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების უარესი ნაწილის მობილიზება. უკეთესს ამ ხერხით ვერ გაუკეთებ მობილიზებას. არჩევნებზე გამოვიდოდნენ უპროგრამოდ? გამოვიდოდნენ, მაგრამ გაჰყვებოდა მხოლოდ საზოგადოების „ჩამოწერილი“ ნაწილი. უარესს გეტყვით, თუ იქნებოდა მხოლოდ სააკაშვილი და მხოლოდ ოპოზიცია, ხალხი მისცემდა ხმას ოპოზიციას, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც შეიქმნებოდა, იქნებოდა ვაიხელისუფლება, რომელსაც ეყოლებოდა ერთადერთი კვალიფიციური ადამიანი — სალომე ზურაბიშვილი, მეტი არც ერთი. ეს ხომ ნათელია? ამათი მთავარი მინუსი ის არის, რომ ერში არსებულ პოტენციალს ვერ გაუკეთეს მობილიზება. ვერ გაუკეთეს იმიტომ, რომ ვერ დაანახეს ჭკვიანი კაცისთვის ხილული პერსპექტივა.

**— როგორ შეაფასებდით დღეს ქვეყნის საგარეო და საშინაო ვითარებას?**

— ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა არის პირწმინდად რუსეთის მიერ ნაკარნახევი. ეს არის სახელმწიფო მოღალატეების პოლიტიკა. დავიწყოთ იქიდან, რომ დაგვტოვეს დსთ-ში, არ განაცხადეს მსოფლიოს წინაშე ოფიციალურად, ინტერვიუებში კი არა, რომ რუსეთი 1992 წლის 6 იანვრიდან დაწყებული და მანამდეც აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ. არ გააუქმეს რუსეთის სამშვიდობო მანდატი. არ წარადგინეს მსოფლიოში არა ნებართვის სათხოვნად, არამედ გასაცნობად და საკონსულტაციოდ კონკრეტული გეგმა, როგორ ხედავს საქართველო თავის სეპარატისტულ რეგიონებთან პრობლემების გადაჭრას. არ უთხრეს მსოფლიოს, რომ არავითარი ოსეთი კავკასიონის სამხრეთით არ არსებობს და ეს არის რუსეთის მიერ მოგონილი და შექმნილი ერთეული და მას არც ერთი საათი არ უარსებია იქ რუსეთის ჯარების დგომის გარეშე. არ აუხსნეს, რომ აფხაზეთი აფხაზების ქვეყანა არ არის. რომ აფხაზეთს იმიტომ კი არ ჰქვია აფხაზეთი, რომ იქ აფხაზები, ანუ აფსუები ცხოვრობენ, პირიქით, აფსუებს იმიტომ დაერქვათ აფხაზები, რომ საქართველოს „აფხაზეთად“ წოდებულ პროვინციაში არიან მოსულები. ეს არ აუხსნეს მსოფლიოს და რეალურად ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადადგეს იმისათვის, რომ დასავლეთმა საქართველო განიხილოს, როგორც რეალური მოკავშირე და არა როგორც ცარიელი ტერიტორია. ვინც სააკაშვილს, მერაბიშვილს, ეკას, მაკას და ლიკას უყურებს — ამ უტვინოებს სახელმწიფო სათავეში, იმას საქართველო მართლაც სიცარიელე ჰგონია, იმიტომ, რომ ამათი სახით მართლა სიცარიელეა. ვერ გააკეთეს ისე, რომ ქვეყანას შეექმნა რაღაც მინიმალური პრესტიჟი მსოფლიოში. დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ვერ გაატარეს, მომავალზე ორიენტირებული, ქვეყნის რეალურ ფეხზე დგომაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა ვერ მოიაზრეს, ვერ გაატარეს და არც გაატარეს.

იხ. 4 გვ.

## ◉ თვალსაზრისი

***სააგენტო „პირველის“ ინტერვიუ საქართველოს ყოფილ პრემიერთან, მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერთან ზურაბ ნოღაიდელთან.***



# „მოსკოვში ჩავედი არა კაპიტულაციისთვის, არამედ იმისთვის, რომ საქართველომ გაერთიანების შანსი შეინარჩუნოს“

**— ბატონო ზურაბ, 25-28 ოქტომბერს მოსკოვში ბრძანდებოდით, სადაც ქართული, აფხაზური და ოსური დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდით. რუსეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე განაცხადეთ, რომ 4-დღიანი ვიზიტის მთავარი თემა აფხაზურ და ოსურ მხარეებთან დიალოგის გამართვა იყო. რა შედეგით დაბრუნდით თბილისში?**

— ჩვენი ამოცანა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან დიალოგი არ იყო, — ამის დრო ჯერ არ არის. მე მინდოდა შეხვედრა იმ აფხაზებთან და ოსებთან, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ, რათა მათი მეშვეობით ჩვენი პოზიცია ცხინვალამდე და სოხუმამდე მიგვეწვდინა. ვფიქრობ, ამ ამოცანას წარმატებით გავართვით თავი. ამის გარდა, ბუნებრივია, ვესაუბრეთ ქართველებსაც.

**— რატომ აირჩიეთ ამ მოლაპარაკებებისათვის რუსეთის დედაქალაქი? რამდენად სწორად გათვალეთ, რა მოჰყვებოდა თქვენი მხრიდან შეხვედრის ადგილად მოსკოვის არჩევას?**

— ჯერ ერთი, მოსკოვის გარდა, სად უნდა ჩავსულიყავი? ნოვოსიბირსკში ხომ არ წავიდოდი აფხაზებთან და ოსებთან შესახვედრად?! რაც შეეხება რეაქციებს, ცხადია, ყველაფერი კარგად მაქვს გათვლილი და მშვენივრად ვიცი, რა რეაქცია მოჰყვება ამას სააკაშვილის მხრიდან. ამას მოჰყვება დიდი აჟიოტაჟი და შიში, რადგან მან კარგად იცის ყველაფერი, იცის, რომ საქართველოში ანტირუსული განწყობები არ არის, თუმცა არც პრორუსულია. ყველამ კარგად დავინახეთ, „ნაციონალური არხების“ მიერ როგორც გაშუქდა ჩემი ვიზიტი მოსკოვში. ეს არის სააკაშვილის ტრადიციული მიდგომა ჩვენს მიმართ, რათა ხალხმა მნიშვნელოვანი ინფორმაციები არ გაიგოს. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ეს ინფორმაციები მისთვის საზიანოა. რაც შეეხება საზოგადოებას, ამას უკვე მოჰყვა დადებითი რეაქცია: ჩვენი მოძრაობის განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ოპოზიციაში გუშინდელის შემდეგ გასაწევრიანებლად რიგებია, იმიტომ, რომ ჩვენს პოზიციას ძალიან მკაფიოდ, გასაგებად და თანმიმდევრულად ვაყალიბებთ.

**— ეს თქვენთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო....**

— ცხადია, ველოდი ამას, იმიტომ, რომ ვიცოდი, ეს ვიზიტი წარმატებული იქნებოდა და ამის გამო არ გააშუქებდნენ. ეს რომ, მათი აზრით, უარყოფითი ყოფილიყო ჩემთვის, დილიდან საღამომდე ტელევიზორში ვიქნებოდი.

**— ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთ შანსს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან მოლაპარაკებებში ხედავთ და აცხადებთ, რომ თქვენი ხედვა მათთვისაც მისაღებია. ამასთან, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ სეპარატისტული რეჟიმები კრემლის მიერ იმართებიან, მოსკოვი კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით დაინტერესებული არ არის, მეტიც, სწორედ ის უწყობს ხელს ქვეყნის დაშლას...**

— პირველ რიგში, მთავარი ამოცანაა, დავიბრუნოთ აფხაზები და ოსები და შესაბამისად, ქვეყნის გაერთიანების შანსები. მოსკოვში გამართულ შეხვედრებზე მქონდა საუბარი იმაზე, რა უნდა გაკეთდეს ამ შანსების დასაბრუნებლად. მინდოდა, ეს სიგნალი იქ მცხოვრებ ხალხს, სიგნალი სოხუმს, ცხინვალს და მოსკოვს, — სწორედ იმიტომ, რომ სამივე მხარე ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია. თუ გვინდა, რომ აფხაზეთთან და ოსეთთან მოლაპარაკებები წარმატებული იყოს, უნდა გვესმოდეს, რომ ისინი საერთოდ ვერ გაიმართება, თუ იმავდროულად მოსკოვთან ისეთი მკაცრი კონფრონტაცია იქნება, როგორიც დღესაა. ეს არის რეალობა დღეს და ვისაც არ უნდა, მას ანგარიში გაუწიოს და თვალი გაუსწოროს, მისი პრობლემაა. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს, მისი რღვევა პირველ რიგში, სააკაშვილის ბრალია, იმიტომ, რომ სწორედ მან ამოაყოფინა საქართველოს თავი შარშანდელ ომში, რომელიც თავიდანვე ნათელი იყო, რომ წაგებული იქნებოდა. სააკაშვილი ჩვენი დაკარგული მიწის თითოეული სანტიმეტრისთვის აუცილებლად აგებს პასუხს, ის და მისი გარემოცვა ციხეში აუცილებლად ჩაჯდებიან. რაც შეეხება იმას, უნდა ვესაუბროთ თუ არა რუსეთს საქართველოს გაერთიანებაზე და რა შედეგს გამოიღებს ეს, პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ რუსეთი თავისი ნებით კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობაზე უარს არ იტყვის, ამიტომ რუსებს საქართველოს გაერთიანებაზე საერთოდ არ უნდა ველაპარაკოთ; რუსეთი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ხელი არ შეგვიშალოს ამ მოლაპარაკებებში, საქართველოს გაერთიანებაზე კი აფხაზებს და ოსებს უნდა ველაპარაკოთ, თუმცა მოგვიანებით. დღეს მათ უნდა ვესაუბროთ იმაზე, რომ ომი არ განახლდეს, ძალის გამოყენების საფრთხე დღის წესრიგიდან მოიხსნას და შესაბამისი გარანტიები შეიქმნას. ამ საკითხზე, სხვათა შორის, მოლაპარაკებები ჟენევის ფორმატში მიდის, თუმცა უშედეგოდ, რაღაც განსაკუთრებულ ენთუზიაზმს არა მხოლოდ ქართულ, არამედ ვერც ერთ მხარეს ვერ ვატყობ. დღეს ასევე უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ ურთიერთობები აღდგეს ოჩამჩირელსა და ზუგდიდელს შორის, ქუთაისელსა და სოხუმელს შორის, ჯაველსა და გორელს შორის, ცხინვალელსა და თბილისელს შორის... — ეს არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ამ ურთიერთობების აღდგენის პარალელურად უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი ტერიტორიები იზოლაციიდან, უნდა აღდგეს მათი ვაჭრობა დანარჩენ საქართველოსთან, დანარჩენ სამყაროსთან — ეს არის დღის წესრიგის მეორე საკითხი, რაზეც უნდა შედგეს მოლაპარაკებები, — სხვა საკითხები ჯერჯერობით დღის წესრიგში არ უნდა იყოს. ორივე საკითხი ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი და მისაღებია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხინვალელი, სოხუმელი და მოსკოველი (ამ შემთხვევაში ხელისუფლებას ვგულისხმობ) საქართველოს გაერთიანების იდეას დადებითად აღიქვამს, მაგრამ ჩვენ უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი, უნდა აღვადგინოთ ჩვენს შორის ნდობა, ამ აღდგენილ ნდობას კი მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები, თუმცა ამ ნაბიჯებზე ჯერ საუბარი არ მინდა. ამ ყველაფერზე საუბარი ცხადია, სააკაშვილთან ვერ შედგება, რადგან ეს არის ადამიანი, რომელსაც არ ენდობა არავინ, რომელსაც არც უნდა ამ მოლაპარაკებების წარმოება, რომლისთვისაც ხელისუფლების შენარჩუნების გზა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან უაზრო სიტყვიერ კონფრონტაციაზე გადის, თორემ რა კონფრონტაციის თავი და შნოც აქვს რეალურად, ეს კი ვნახეთ ამ ერთი წლის წინათ.

იხ. 4 გვ.

## რადიკალური ოპოზიცია

# „წადი, წადი!“ ლოზუნგი არ არის. ლოზუნგი არის „დამიბრუნე საარჩევნო უფლება!..“

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, ამათ მხოლოდ რეაგირება შეუძლიათ. ამათ გეგმის დასახვა და მოქმედება არ შეუძლიათ. ამათ წარმოდგენაში საქართველოს მომავალი არის მომსახურე ერად ყოფნა. ეს რეალობაა. ამათი საშინაო პოლიტიკა არის რუსეთის მიერ დავალებული დივერსია, რომელიც უნდა გატარდეს რუსეთის დავალებითვე ე. წ. დასავლური ღირებულებების სახელით. ეს ეკონომიკური დივერსიაც არის და იდეოლოგიურიც ერთდროულად. ამათი ერთ-ერთი მთავარი დანაშაული არის განათლების მოსპობა. ამაზე მასშტაბით უფრო დიდი დანაშაული და შინაარსობრივად ამის მომდევნო დანაშაული არის ეკონომიკის ჩაძირვა. ესენი ატარებენ სასიცოცხლოდ საჭირო ობიექტების გაყიდვის პოლიტიკას, რისი უფლებაც, რა თქმა უნდა, არ აქვთ. არ შეიძლება ქვეყანას თავის საკუთრებაში არაფერი დარჩეს. ისინი ყველაფერს ყიდიან. სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვის კანონის მიღება მათ მიერ — ეს არის ერთ-ერთი ფუნდამენტური, ისტორიული მასშტაბური დანაშაული ქვეყნის წინაშე. იმედი მაქვს, რომ თუკი ჩვენ, საქართველოს პოლიტიკური პარტიები, გავემიჯნებით ღიად, თვალსაჩინოდ სააკაშვილის ხროვას, როგორც უცხოეთის აგენტურას და მეორე, როგორც არალეგიტიმურს, ანუ ხელისუფლებაში დარჩენილს, როგორც ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შედეგად, ამით გვექნება საფუძველი, გავაუქმოთ როგორც ამათი კაპიტულაციური ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ისე ამათ მიერ ობიექტების ჩალის ფასად გაყიდვის აქტები. ჩვენ შეგვიძლია რეგენერაცია იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ჩაგვაგდეს.

**— აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, როგორია თქვენი მოსაზრება? იცნობთ თუ არა ტალიავინის კომისიის დასკვნას და რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?**

— წავიკითხე ტალიავინის კომისიის დასკვნის პირველი მოხსენებითი ნაწილი. წავიკითხე ჩვენი ხელისუფლების ანგარიში აგვისტოს ომის შესახებ, წავიკითხე ძველი მასალა ინტერნეტში და ჩემი დასკვნა ასეთია: ომი დაიწყო რუსეთმა. მხედველობაში მაქვს არა ქართული სოფლების დაბომბვა, არა ათასნაირი დივერსია და აგრესიული მოქმედებები, არამედ, გაშლილი დროშით ოფიციალური ომი რუსეთმა დაიწყო 6-7 აგვისტოს. ამ დღეების განმავლობაში, სროლა რომ გამოვრიცხოთ, რუსეთმა ომი წარმართა ომის წარმოების მრავალ მეთოდთაგან ერთის გამოყენებით — მანევრით. მანევრი, ანუ ჯარების გადააადგილება ისევეა ომის ელემენტი, როგორც სროლა. ეს ომის ნაწილია. რუსეთმა 6-ში და 7-ში აწარმოა ომი მანევრით და ეს ომი მოიგო, ანუ დაიკავა ყველა პოზიცია, რომლითაც საკმარისი იყო ქართული ჯარის განადგურება. ეს რომ დაამთავრა, მერე სააკაშვილს დაავალა: „სანამ 7 რიცხვი დამთავრდებოდეს, ანუ სანამ 12 საათი შესრულდებოდეს, ცოტა ადრე ისიმულიანტე ომის დაწყება“. სააკაშვილმა ეს შეასრულა. როცა რამდენიმე წუთი აკლდა თორმეტს, მან გააკეთა განცხადება, რომ ომი დაწყებულია, გასცა ცეცხლის გახსნის ბრძანება და თანაც დაავალა გენერალ ყურაშვილს, განცხადება გაეკეთებინა, რომ ეს კეთდება ცხინვალის კონფლიქტურ ზონაში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად და არა რუსეთის დარტყმის მოსაგერიებლად. ეს დავალება სააკაშვილმა შეასრულა ერთი იმით, რომ ისროლა მაშინ, როდესაც უბრძანეს, მეორე: ისროლა იმ ტიპის ჭურვი, რომელიც რუსეთმა უბრძანა და იმ მიმართულებით, სადაც რუსეთმა უბრძანა, ანუ დაცარიელებულ ქალაქ ცხინვალისკენ და არა როკის გვირაბისკენ, რომელიც სავსე იყო რუსული ჯარით. აქედან დასკვნა: ომი დაიწყო რუსეთმა, მოიგო მანევრით, შემდეგ სააკაშვილს დაავალა ომის დაწყების სიმულაცია, აი ეს არის ომის დაწყების მთელი ისტორია. ტალიავინის დასკვნაში, სხვათა შორის, არ წერია, რომ რუსები გადაადგილებას არ აწარმოებდნენ, იქ წერია: „ჩვენ ვერ ვიპოვეთ ნივთმტკიცება, რომელიც ცალსახად დაგვისაბუთებდა, რომ რუსები მოძრაობდნენ. სააკაშვილს რომ გაეკეთებინა განცხადება 6-ში, რომ რუსეთი შემოდის და მიშველეთ, მაშინ ტალიავინს ამის თქმის საშუალება აღარ ექნებოდა“.

**— როგორც ცნობილია, რუსეთის დუმა იღებს კანონპროექტს, რომლის საფუძველზედაც მას ექნება შესაძლებლობა, საომარი მოქმედებები აწარმოოს ქვეყნის საზღვრებს გარეთ. როგორ ფიქრობთ, რამდენად საფრთხის შემცველია ეს საქართველოსთვის?**

— ამ კანონში რომ არგენტინა არ იგულისხმება მოწინააღმდეგედ, ინგლისი და თურქეთი — ნათელია. აქ ვიგულისხმებით მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ და მოსაჩვენებლად უკრაინაც. გამოდის, ჭკუამოკლე ჯგუფი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და აცხადებს, რომ რუსეთი ვერ დაგვარტყამს. ეს ტყუილია. არის რეალური ალბათობა, რუსეთმა დაგვარტყას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსეთს აქვს თავისი იმპერიული ინტერესების დაცვის კონცეფცია ე. წ. მცირე ომებისა. ეს არის გაგრძელება ახალ პირობებში რუსეთის ე. წ. მცოცავი იმპერიალიზმისა. რუსეთის კონცეფციაა, შეინარჩუნოს გავლენა და ბატონობა თავის ყოფილ იმპერიულ სივრცეში, პირველ ყოვლისა, ამიერკავკასიაში. ეს არის მისი ერთადერთი შანსი — თავისი იმპერიული მდგომარეობა შეინარჩუნოს. ამიტომ არ არის გამორიცხული: რუსეთი გულწრფელად ფიქრობს, საქართველოს ბლოკირებით დასავლეთს გადაუკეტოს გზა შუა აზიისაკენ, რომელიც არის ძირითადი სტრატეგიული გზა დღევანდელ მსოფლიოში. შესაძლებელია, ამას სერიოზულად ფიქრობდეს და ბირთვული დარტყმა საქართველოზე მისთვის იქნება საუკეთესო ნაბიჯი: სხვებსაც შეაშინებს და ქართულ მოსახლეობასაც გაანადგურებს მთლიანად.

მეორე ფაქტორი: მედვედევმა რომ აღნიშნული კანონპროექტი დუმაში შეიტანა, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა უკვე ჩაიდინა დანაშაული საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ. რატომ არ რეაგირებს ამაზე დასავლეთი? აქედან ჩნდება ეჭვი: დასავლეთი დუმს, რადგან არსებობს შესაძლებლობა, რომ მსოფლიოს მთავარი ამრევი, კულტურისა და ცივილიზაციის მოწინააღმდეგე, დემოკრატიის მთავარი მოწინააღმდეგე რუსეთი, ამ აგრესიული ბირთვული დარტყმის განხორციელების შემთხვევაში, წავა ისტორიის ასპარეზიდან დიდი ხნით. დასავლეთი, ფაქტობრივად, მდუმარედ უხსნის გზას რუსეთს ამ აგრესიული ქმედებისკენ. რუსეთი ამას გრძნობს. ამიტომ სერიოზული პოლიტიკოსი დღეს ვერ იტყვის, რომ ბირთვული დარტყმა საქართველოზე გამორიცხულია. გამორიცხული არაფერია. შესაძლებელია, ეს განზრახულია მხოლოდ ზეწოლისთვის. მაგრამ თუ ეს ბირთვული იარაღის გამოსაყენებლად ფსიქოლოგიური მზაობის სიმულაციაა, მაშინ ეს (რომ სიმულაციაა და არა რეალური განზრახვა) იცის სულ რამდენიმე კაცმა. გენერალიტეტმა ეს არ იცის. ის ამ დარტყმას ამზადებს მთელი სერიოზულობით და არავინ იცის, რომელი გენერალი დაამხობს რომელ მინისტრს და პრეზიდენტს და ვის წაუცდება ხელი ამაზე.

**— რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს რუსეთის აგრესია?**

— ის ვალდებულია გააკეთოს ორი რამ: იყვიროს მსოფლიოში, „ატომურ ბომბებს მიშენებ და მიშველეთო“, ოფიციალურად იყვიროს, რომ ვერავინ ისიმულანტოს, თითქოს ამას ვერ ამჩნევს. პრეზიდენტები არ არიან ვალდებულნი, მეორე ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლები მოისმინონ, მაგრამ ვალდებულნი არიან, ის ნოტა წაიკითხონ, რომელსაც რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი გზავნის და ნოტაში წერია „მიშველე, თუ ძმა ხარ, თუ გინდა მსოფლიოს გადარჩენა, მიშველე!“ მეორე მოვალეობაა, რომ ვინც არის ფულის გამღები, სთხოვოს, მომეცი ფული, რომ შევუდგე თავშესაფართა სისტემის მშენებლობას. ბირთვული დაბომბვის თავშესაფარი არის ქმედითი საშუალება, რომ ჩემი მოსახლეობა გადარჩეს. ამასაც არ აკეთებენ. ამ ორი ნაბიჯის არგადადგმა ამ ხელისუფლების მხრიდან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მკაფიო საბუთია იმისა, რომ ეს ხელისუფლება არის რუსეთის სამსახურში.

ესაუბრა
**რიტა ყაველაშვილი**



## თვალსაზრისი

# „მოსკოვში ჩავედი არა კაპიტულაციისთვის, არამედ იმისთვის, რომ საქართველომ გაერთიანების შანსი შეინარჩუნოს“

(მესამე გვერდიდან)

**— მოსკოვში ვიზიტისას თქვენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინსაც შეხვდით. რა საკითხები განიხილეთ მასთან? არის თუ არა მისაღები რუსეთის ხელისუფლებისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თქვენისეული ხედვა? რა საკითხებით დაინტერესდა კარასინი? საერთოდ, რა პოლიტიკური მესიჯები წამოიღეთ ამ შეხვედრიდან?**

— ყველა შეხვედრაზე იმ თემებზე მქონდა საუბარი, რაზეც ეხლა გესაუბრებით. ამას მოჰყვა დადებითი რეაქცია და შესაბამისად, გამიჩნდა ფრთხილი ოპტიმიზმი. როდესაც ვსაუბრობდი იმაზე, რომ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები სოხუმთან, ცხინვალთან და თუნდაც მოსკოვთან ყოველგვარი წინაპირობების და ულტიმატუმების გარეშე, ცხადია, ეს ნორმალური და მისაღები აღმოჩნდა ყველა მხარისთვის, თუმცა რამდენად წარმატებული იქნება ეს პროცესი, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ჩვენზე, არამედ სხვა მხარეებზე და ბევრ სხვა ფაქტორზეცაა დამოკიდებული. მოსკოვში ჩავედი არა კაპიტულაციისთვის, არამედ ურთიერთობების განსაახლებლად, იმისთვის, რომ საქართველომ გაერთიანების შანსი შეინარჩუნოს, რადგან კარგად ვხედავთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე ყველა სფეროში საქართველოს უკუსვლას ნიშნავს.

**— თქვენ შეხვდით იმ ქართველებსაც, რომელთა მიმართ საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას მაინცდამაინც დიდი სიმპათიები არ აქვს, - იგივე ხუბუტიას, ებრალიძის წარმომადგენელს... რა საკითხები განიხილეთ მათთან?**

— როგორც გითხარით, ყველასთან, მათ შორის მიხეილ ხუბუტიასთან შეხვედრაზეც, ზემოთ აღნიშნულ თემებზე ვისაუბრე. მოსკოვში „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ მიწვევით ვიყავი და შესაბამისად, მის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში ვიღებდი მონაწილეობას, თუმცა როდესაც მომავალში მოსკოვში ჩავალ, სხვა ჯგუფებთანაც მექნება შეხვედრები.

**— შემთხვევით, ასლან აბაშიძე, კახა თარგამაძე, ლევან მამალაძე და შევარდნაძის მთავრობის სხვა მაღალჩინოსნებიც ხომ არ გინახავთ ისე, რომ „ნაციონალური“ არხების კამერებს ეს ვერ დაეფიქსირებინათ?**

— ერთადერთი, რაც შეიძლება, კონფიდენციალურად შემენახა, აფხაზებთან და ოსებთან შეხვედრები იყო, თუ მათგან ამის სურვილი იქნებოდა, თუმცა ამაზე საუბარიც კი არ ყოფილა. რაც შეეხება სხვა შეხვედრებს, ცხადია, ყველა ჩემი კონტაქტი ქართველებთან იქნებოდა საჯარო, დასამალი არაფერი მაქვს. ვადასტურებ, რომ შევხვდი მიხეილ ხუბუტიას, თუმცა არ შევხვედრილვარ არც ებრალიძეს, არც თარგამაძეს, არც მამალაძეს და რომც შევხვედროდი, ამაში დასამალს ვერაფერს ვხედავ. მე იქ არ ჩავსულვარ როგორც მზვერავი: საზოგადოებამ ჩემი წასვლის შესახებაც წინასწარ იცოდა და იქ გამართული შეხვედრების შესახებაც იყო ინფორმირებული და ეს აფხაზმაც, ოსმაც, მოსკოველმაც და ქართველმაც კარგად აღიქვა, იმიტომ, რომ იქ დადის ბევრი ადამიანი, პარტიების და ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლები პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა მათ ვერ აგვარებენ, ჩვენ კი ჩვენს პოლიტიკას, მათ შორის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს ვაცხადებთ, საჯაროდ ვასრულებთ და რასაც ვამბობთ, იმას ვაკეთებთ.

**— რაზე ესაუბრეთ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს? როგორი დამოკიდებულება აქვს რუსეთის ხელისუფლებას მათ მიმართ?**

— ისინი არ არიან უბრალოდ დიასპორა. მათი 60-70 პროცენტი საქართველოს მოქალაქეა, რომელსაც აქვს სრული უფლება, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მომავლის განსაზღვრაში. იმავდროულად, ეს ხალხი არის საქართველოს ამომრჩეველთა სიებში, თუმცა ვინაიდან სამშობლოში არ არიან, მათ ხმებს სააკაშვილი უნამუსოდ და უსირცხვილოდ იდებს ჯიბეში. ამ ხმების ძირითადი ნაწილი სინამდვილეში მაგალითად, ჩვენი უნდა იყოს. ჩვენი ამოცანაა, ყველა ამ ადამიანს რეალურად მიეცეს ხმის მიცემის უფლება.

**— მოდით, შიდა პოლიტიკურ პროცესებზეც ვისაუბროთ. რამდენიმე დღეა, ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელისუფლება თბილისის გუბერნატორის დანიშვნას და მერის უფლებების შემცირებას გეგმავს. თუ მართლაც დაინიშნება დედაქალაქში გუბერნატორი, მაინც მიიღებთ მერის არჩევნებში მონაწილეობას?**

— პირველ რიგში, მინდა, ვთქვა, რომ არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ, თუ ისინი ხელისუფლების შესაცვლელად დაინიშნება. რაც შეეხება თბილისში გუბერნატორის დანიშვნას, რას იზამს სააკაშვილი დღეიდან მანამ, სანამ ხელისუფლებაშია, არ მაინტერესებს. როცა ხელისუფლებიდან წავა, ის პასუხს აგებს ქართული მიწის ყველა სანტიმეტრზე, ყველა ლარზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკამ 2007 წლის 7 ნოემბრის მერე მისი უაზრო ქმედებების შედეგად დაკარგა, ყველა იმ ტრადიციის უგულებელყოფაზე, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, - ამაზე ორი აზრი არ არსებობს! იმ ადამიანებთან კი, რომლებიც ცდილობენ ხელისუფლების შენარჩუნებას ახლაც და 2013 წლის შემდეგაც, ერთი მესიჯი მაქვს მხოლოდ: “დროზე მოეგეთ გონს, იმიტომ, რომ თქვენც აგებთ პასუხს ყველაფერზე!“. სხვა ვარიანტი არ არსებობს, ეს აღარ არის ძველი ვითარება, როდესაც სააკაშვილს რაღაც მანიპულაციებით შეეძლო ხელისუფლების შენარჩუნება. ახლა სხვა სიტუაციაა და ყველა დამნაშავე პასუხს აგებს!

**— ეკონომიკურ ტენდენციებზე რას გვეტყვით? მოსალოდნელია თუ არა ეკონომიკური კოლაფსი და დაემატება თუ არა პოლიტიკურ კრიზისს სოციალური?**

— თქვენი აზრით, ეკონომიკური კოლაფსი არაა დღეს საქართველოში?! მინუს 7, მინუს 10 პროცენტი საქართველოს ეკონომიკის ვარდნა, ის, რომ ბიუჯეტი წლის ბოლომდე ვერ შესრულდება... — აბა რა არის ეს, თუ არა კოლაფსი?! კი ბატონო, დაველოდოთ წლის ბოლოს და მერე ვისაუბროთ ამ თემაზე უფრო ვრცლად. ყველამ კარგად ვნახეთ, რომ ამ ბოლო 8-10 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში ჩემი პროგნოზი მართლდება და არა სხვისი,— ახლაც ასეა სამწუხაროდ...

**ლევან სულაშვილი**

პრობლემა

*ამ დღეებში ცნობილი ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გააკეთა განცხადება, ინტერნეტში, დამოუკიდებელი რესურსის — პოლიტფორუმის საშუალებით, პასუხს სცემდა დაინტერესებულ მკითხველთა შეკითხვებს. 29 ოქტომბერს ონლაინ-კონფერენციაც შედგა. საინტერესოა, რომ ებრალიძის კონფერენციას პარალელურ რეჟიმში დაემთხვა ირაკლი ალასანიას კონფერენციაც, რომელიც ორი საათით ადრე იყო დაგეგმილი, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ალექსანდრე ებრალიძემ ერთ-ერთი მოქალაქის შეკითხვას იმის თაობაზე, თუ რას ფიქრობს იგი ამჟამინდელ ქართულ ოპოზიციაზე, ასე უპასუხა: „არ მინდა, შეფასება მივცე ოპოზიციას, როცა საქართველოს ფარგლებს გარეთ ვიმყოფები, მაგრამ ერთს კი ვიტყვი — მათ შორის ერთი ტროას ცხენია, და ეს ირაკლი ალასანიაა“. ქვემოთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს ვთავაზობთ ინტერნეტ-კონფერენციის ძირითად მომენტებს.*

# ალექსანდრე ებრალიძე:
# აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილებია

ალექსანდრე ებრალიძემ თავიდანვე ასეთი განცხადება გააკეთა: **„ძვირფასო ორგანიზატორებო, შეკითხვების არ მეშინია და მზად ვარ, ყველაზე მწვავე შეკითხვებსაც ვუპასუხო, გთხოვთ, ნუ წაშლით თვით პროვოკაციულ და შეურაცხმყოფელ შეკითხვებსაც-კი“. ერთ-ერთ ასეთ მოწადინებულ მკითხველს რესპონდენტმა ამგვარი პასუხი გასცა:**

**„მანამ, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, და თქვენდა სამწუხაროდ, გავიმარჯვებ კიდეც ამ არჩევნებში, მე დიდ ხანს ვფიქრობდი.**

**დიდ ხანს იმიტომ ვფიქრობდი, რომ ქართული ტელევიზიით გამოდიოდნენ ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელები, რომლებიც ლაპარაკობდნენ, რომ დაიწყო სამამულო ომი. პირველი შეკითხვა: სამამულო ომი ვისთან? საკუთარ მოქალაქეებთან? რუსებთან? ოსებთან?..**

**ჩემი აღზრდისა და მიღებული განათლების თანახმად, სამამულო ომში ან იმარჯვებენ ან იხოცებიან, მაგრამ საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მესამე გამოსავალი იპოვა, რომელიც ისტორიამ აქამდე არ იცოდა - კერძოდ, ის მდგომარეობა, რომელიც დღესდღეობით გვაქვს.**

**ძვირფასო თანამემამულევ, ნუ გადადიხართ შეურაცხყოფაზე, ამით თქვენს თავს და თქვენს ხალხს შეურაცხყოფთ. ყველაფერი მაინც კარგად იქნება — საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩემი გამარჯვების შემდეგ საქართველო გახდება ერთიანი და სუვერენული!**

**დევნილები დაბრუნდებიან თავიანთი სახლებში, გვექნება რუსეთის ფედერაციასთან უვიზო მიმოსვლა, ქართველ გლეხებს შეეძლებათ ივაჭრონ თავიანთი პროდუქციით რუსულ ბაზარზე, ქართული ღვინოები, მინერალური წყლები აღფრთოვანებას დაიმსახურებენ რუსეთის ქალაქებში.**

**თქვენს გამო კი, ძვირფასო თანამემამულევ, მე ვწუხვარ. სწორედ ამიტომ ვიქნები საქართველოს პრეზიდენტი, რათა გამოვასწორო ჩვენ მოქალაქეთა ერთი ნაწილის გონების კატასტროფული ამღვრევა“.**

მკითხველთა ნაწილი დაინტერესდა ბატონი ებრალიძის ნასამართლევობით:

**„დიახ, ახალგაზრდობაში მე ნასამართლევი ვიყავი. იმასაც გეტყვით, თუ რატომ. იმიტომ, რომ არასოდეს შევგუებივარ უსამართლობას. მაგრამ წლებმა, გამოცდილებამ მასწავლა, რომ უსამართლობას უნდა ებრძოლო სისტემურად და კანონიერად და არა ეპიზოდურად და კანონის დარღვევით.**

**ამიტომ მე ვცდილობ, სიკეთე ვაკეთო. როდესაც იმ კომპანიის თანამშრომლები, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ყიდულობენ ბინას ან მანქანას, კიდევ საკითხავია, ვის უფრო უხარია ეს - მათ თუ მე. ცნობისათვის: მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ავაშენე მილიონ შვიდასი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი, რესტავრაცია-რეკონსტრუქცია ჩავუტარე 47 ათას კვ.მ ისტორიულ ნაგებობებს - მე-18 საუკუნის სასახლეებს.**



**ნულიდან, სუფთა მინდორზე, 70 ჰექტარ მიწაზე ავაშენე სამი სუპერთანამედროვე ხის გადამამუშავებელი ქარხანა.**

**შემდეგ. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს: მე არ მიყვარს თეორიული განსჯა. ჩვენ ვხედავთ, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას უდგას კრიზისული ხანა. ეს გახლავთ შედეგი სწორედ ხელისუფლების მოღვაწეობისა. ამ სიტუაციას მე საკმაოდ ჩქარა გამოვასწორებ.**

იყო ასეთი შეკითხვაც, თუ რა პოლიტიკა ექნება რესპონდენტს, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ე. წ. კანონიერი ქურდების მიმართ.

პასუხი: **„საქართველოში კანონის უზენაესობა დამყარდება და ყველა, ვინც კანონს დაარღვევს, ციხეში აღმოჩნდება, იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება — ბანდიტი, ქურდი, მოხელე... რასაკვირველია, კანონმა ყველას უნდა მისცეს გამოსწორების შესაძლებლობა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დანაშაულისათვის სასჯელი და გამოსწორებისთვის შანსი“.**

სენსაციური შეიძლება ეწოდოს ალ. ებრალიძის განცხადებას ეკონომიკის ყველა სტრატეგიული მიმართულების ნაციონალიზაციის განზრახვის შესახებ: **„ეკონომიკური პროგრამის ძირითადი მიმართულებები იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკის ყველა სტრატეგიული მიმართულების ნაციონალიზაცია მოხდება. ძირითადი აქცენტი მცირე ბიზნესზე გაკეთდება“.**

მცირე გამონაკლისის გარდა ასეთი თამამი და მკაფიო განცხადება წლების მანძილზე დატაცებული საერთო-სახალხო დოვლათის ხალხისათვის დაბრუნების აუცილებლობაზე დღევანდელი ქართული პოლიტიკური სპექტრიდან არავის გაუკეთებია.

განსაკუთრებით საინტერესო იყო, ალბათ, შეკითხვა, თუ როგორ აპირებს ალ. ებრალიძე, მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში მაშინ, როდესაც კონსტიტუციის მოთხოვნით კანდიდატი ბოლო 15 წლის მანძილზე საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს (მკითხველს აქვე შევახსენებთ: ბათუმში დაბადებულ და გაზრდილ ბატონ ებრალიძეს წარდგენილი აქვს განცხადება საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესახებ და პასუხს ელოდება ხელისუფლებისაგან). ებრალიძე ვარაუდობს, რომ კონსტიტუციაში 2013 წლის არჩევნებამდე შესაბამისი ცვლილებები შევა: **„არსებობს ასეთი კანონზომიერება — ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება“...** აქ იგულისხმება, რომ არც კონსტიტუციაა შეუცვლელი, და ჩვენ გვახსოვს, 2004 წლის თებერვალში რა მასშტაბური ცვლილებები განხორციელდა კონსტიტუციაში, 1999 წლის მოწვევის უკვე არალეგიტიმური პარლამენტის მიერ...

ერთი შეკითხვა ეხებოდა ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტსაც რუსეთში, მკითხველს აინტერესებდა, თუ შეხვდა მას ბატონი ებრალიძე. პასუხი: **„ბატონ ნოღაიდელს არ ვიცნობ და არ შევხვედრივარ“.**

შეკითხვების ძირითადი ნაწილი მაინც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ეხებოდა, ვინაიდან სწორედ ეს საკითხი არის ებრალიძის მიერ თავის მთავარ პოლიტიკურ ამოცანად გაცხადებული. ალ. ებრალიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ჩვენს მიერ აღიარებას ან ჩვენს სუვერენიტეტზე უარის თქმას. პირიქით, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასაწყისი უნდა გახდეს, და ეს შესაძლებელია ძალიან მოკლე ხანში — ერთი საპრეზიდენტო ვადის ფარგლებში. ციტატა: **„აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილებია“.**

მთლიანობაში ალექსანდრე ებრალიძემ შემდეგი პრიორიტეტები გამოკვეთა: ტერიტორიული ერთიანობის აღდგენა, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, ეკონომიკის აღორძინება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საშუალებით, სოციალური დაცულობა, სახელმწიფო ნეიტრალიტეტი, ძლიერი თავდაცვა, ნორმალური ურთიერთობები დასავლეთთან და რეგიონულ მეზობლებთან.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც მიაწოდა მკითხველებს რესპონდენტმა: უკვე ნოემბერში მოხდება დავით აღმაშენებლის სახელობის ლიტერატურული პრემიის პრეზენტაცია. პრემიაზე წარდგენილ ნაწარმოებებში აღწერილი უნდა იყოს საქართველოს ისტორიის ნებისმიერი პერიოდი 1945 წლამდე, ის ისტორიული პიროვნებები უნდა იყვნენ წარმოჩენილნი, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

**გიორგი გეგეშიძე**

ინფორმაცია

## პენსიები იზრდება, მაგრამ... მცირდება!

**პირველი ნოემბრიდან პენსიები 5 ლარით გაიზრდება. შესაბამისად პენსიის მინიმალური ოდენობა 75 ლარის ნაცვლად 80 ლარი იქნება.**

**შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე პირები 75 ლარის ნაცვლად 80 ლარს მიიღებენ, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები 65 ლარის ნაცვლად - 70 ლარს.**

**ოქტომბრის თვის მონაცემებით, საქართველოში 641 350 ასაკით პენსიონერი და 108 306 პირველი და მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია რეგისტრირებული. ნოემბერში მათი საპენსიო უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 71 მილიონი ლარი დაიხარჯება.**

## ეუთომ გამოიღვიძა და კვლავ ჩვენთან დაბრუნება სურს

**ეუთოს ხელმძღვანელობა ძალისხმევას არ დაიშურებს მისიის საქართველოში დასაბრუნებლად. ამის შესახებ საბერძნეთის პრეზიდენტმა გეორგეოს პაპანდრეუსმა განაცხადა.**

**სპეციალურ მიმართვაში, პაპანდრეუსი მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზე საუბრობს და საკმაოდ ვრცელ დროს საქართველოს საკითხს უთმობს. პაპანდრეუსის თქმით, ორგანიზაცია საქართველოში არსებული ვითარების უკანა პლანზე დატოვებას არ აპირებს და ეს ეუთოს მტკიცე პოზიციაა.**

**— კვლავ არსეობს გაყინული კომფლიქტები და ჩვენ არ გვაქვს უფლება ისინი უყურადღებოდ დავტოვოთ. საქართველოში აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა ეს შეხებულება კიდევ უფრო გაამყარა. ადამიანები საკუთარ თავზე განიცდიან ამ კონფლიქტის შედეგებს. საქართველოში არსებული ვითარება ეუთოს მეტ ძალისხმევას მოითხოვს. საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოება საქართველოში ეუთოს არსებობის აუცილებლობაში დავარწმუნოთ. ეს განსაკუთრებით კონფლიქტურ ზონებს ეხება. ჩვენ ამისათვის ძალისხმევას არ დავიშურებთ, — აცხადებს გეორგეოს პაპანდრეუსი.**

## მოქალაქეობა ინტერნეტით

**საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცედურა მარტივდება. მოქალაქეობის მიღების მსურველებს განაცხადების შევსება ინტერნეტით შეეძლებათ. სამოქალაქო რეესტრში ახალი სერვისების პრეზენტაცია გაიმართა.**

**რეესტრის ვებ-გვერდზე შესვლა და ონლაინ აპლიკაციის შევსება ნებისმიერი პირისათვის იქნება შესაძლებელი. აპლიკაციის განხილვის შემდეგ კი უკვე რეესტრი გასაუბრებას დანიშნავს.**

**პროცედურების დასრულებისთანავე კი უკვე დაიწყება ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია



## „სააკაშვილი ოკუპირებული ტერიტორიების დაფინანსებას აღარ აპირებს“

**„სააკაშვილი ხელს იღებს ოკუპირებული ტერიტორიების დაფინანსებაზე — აცხადებს ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი.**

**მისი თქმით, 2010 წლის ბიუჯეტიდან გამქრალია მუხლი, რომელიც დევნილთა დახმარების ფონდის დაფინანსებას ითვალისწინებდა.**

**— 2008 წელს ამ ფონდის ანგარიშზე 498 000 ლარი ირიცხებოდა, 2009 წელს 800 000 ლარი, 2010 წელს კი ბიუჯეტში გათვალისწინებული არაფერია, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.**

**მისივე განცხადებით, 2010 წლის ბიუჯეტში ასევე არაფერია ნათქვამი არაქართულენოვანი სკოლების დაფინანსებაზე, რომელიც წინა წლებში აქტიურად მიმდინარეობდა.**

**ლეიბორისტული პარტია, გეგმავს საკანონმდებლო ორგანოს დევნილთა ფონდის აღდგენისა და დაფინანსების მოთხოვნით წერილობით მიმართოს.**

ჯი-ეიჩ-ენი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №157

***„ჩვენ ვცხოვრობთ კულტურული ღირებულებების დაცემის პირობებში და ეს ომს არ შეუქმნია, არამედ ამგვარმა გარემომ შექმნა ომის ატმოსფერო. სულიერების გამოხატულებანი — ის, რაც იყო საზოგადოების ცხოვრებაში, ახლა მხოლოდ ფაქტებად გადაიქცა, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენენ სულიერ საწყისებზე. მატერიალურის და სულიერის დაპირისპირებამ საბედისწერო ხასიათი მიიღო“.***

***ალბერტ შვეიცერი***

# „კულტურა და ფილოსოფია“

## ახალი საერთაშორისო ქართულ-ამერიკული ჟურნალი

ყოველი საუკუნის დასაწყისი ღირებულებათა გადაფასების ნიშნით იწყება. ღირებულება ხდება აქტუალური შესაძლებელის წარმოდგენით და გემოვნების იმ სტანდარტების გათვალისწინებით, რასაც დრო და ისტორია გვთავაზობს...

იქნებ ამიტომაც არასდროს ისმება არც ძალიან ძველი და არც ძალიან ახალი, ანუ თვისობრივად განსხვავებული პრობლემები, მაგრამ ანალიზი თუ დისკურსი ყველა ეპოქაში გრძელდება, როგორც თანამედროვე ცნობიერების გასაღების ძიება.

რა გადამკვეთი და განსხვავებული ფილოსოფიური თუ კულტუროლოგიური ხედვა არსებობს სხვადასხვა სივრცეში, სხვადასხვა სააზროვნო ველში, ჩვენში და სხვაგან, „როგორია ატმოსფერული გავლენა იდეების“ (გრიგოლ რობაქიძე) — ეს საკითხები ვფიქრობთ, დღეს განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მოქცეული პატარა ქვეყნისთვის.

* * *

ამ დღეებში სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტში ინგლისურენოვანი ჟურნალის **„Culture&Philosophy“ („კულტურა და ფილოსოფია“)** 2009 წლის ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ბატონმა **ირაკლი კალანდიამ** მეცნიერთა ვიწრო წრეს, რომლებიც ძირითადად ფილოსოფოსები იყვნენ, წარუდგინა **ვაშინგტონის ღირებულებათა კვლევის ცენტრის და ქართული ფენომენოლოგიური საზოგადოების და ინტერდისციპლინარული მეცნიერების ცენტრის მიერ გამოცემული ჟურნალი** (ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის გრიფით).

ჟურნალის გამოცემის პრეისტორია ასეთია: 2007 წლის მაისში, თბილისში, ქ-6 თინათინ ბოჭორიშვილის მიერ ორგანიზებულ, საერთაშორისო კონფერენციაზე, ამერიკელმა პროფესორმა **ჯორჯ მაკლეინმა,** რომელიც ჯერ კიდევ ადრე ფილოსოფიის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს **ნიკო ჭავჭავაძეს** იცნობდა, სურვილი გამოთქვა: რა მშვენიერი იქნებოდაო საერთო მეცნიერული ჟურნალის გამოცემა. 2007 წლის ოქტომბერში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, მწერალმა **მამუკა დოლიძემ** ეს აზრი, როგორც უკვე ჩამოყალიბებული პროექტი, მასალებითურთ, ვაშინგტონში, საერთაშორისო ფილოსოფიის კონფერენციაზე ჩაიტანა. ყველა ტექსტი და კრებულის საერთო კონცეფცია ვაშინგტონის ღირებულებათა და ფილოსოფიის პრობლემათა კვლევის ცენტრმა და კონგრესის ბიბლიოთეკამ განიხილა, იქვე გადაწყდა ჟურნალის გამოცემის სტატუსიც. რედაქტორებად სახელდებულნი გახლდნენ **ჯორჯ მაკლეინი** (აშშ) და **მამუკა დოლიძე** (საქართველო). პირველ ნომერში გამოქვეყნდა ათი ქართველი და ექვსი უცხოელი მწერლის შრომები ფილოსოფიისა და კულტურის პრობლემათა შესახებ. იმავე წელს, ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის კონფერენციაზე ჟურნალი „Culture&Philosophy“. კონფერენციის ორგანიზატორმა ქალბატონმა მაკა დვალიშვილმა ქართულ-ამერიკული მეცნიერული კონტაქტების საილუსტრაციოდ წარადგინა.

ბატონი მამუკა დოლიძე მადლიერებით იხსენიებს უცხოელ კოლეგებს და იმ პიროვნებებს საქართველოში, რომლებმაც პროექტის პრაქტიკულ რეალიზაციაში დიდი დახმარება გაუწიეს: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს **გია ხუბუას**, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანს **დარეჯან თვალთვაძეს,** სამხატვრო აკადემიის რექტორს ბატონ **გია ბუღაძეს...** თანადგომისთვის მადლობას უძღვნის ქართული ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს **თამაზ გამყრელიძეს** და ვიცე-პრეზიდენტს **გურამ თევზაძეს,** ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს **ირაკლი კალანდიას** და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს **ირაკლი იმედაძეს.**

ჟურნალის პირველი, 2008 წლის ნომერი დააფინანსა სამხატვრო აკადემიამ. მეორე 2009 წლის გამოცემის თანხა თბილისის მერიამ გაიღო. პროექტის პოტენციური მნიშვნელობით დაინტერესდნენ ქალაქის მერი გიგი უგულავა, მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა და მისი მრჩეველი კულტურის დარგში შოთა მაღლაკელიძე. ჟურნალის რედაქტორი აღნიშნავს, რომ სწორედ ბატონ გიგი უგულავას აქტიური თანადგომით განხორციელდა ნომრის მეორე გამოცემა.

ჟურნალის ქართველ რედაქტორთან დიალოგში ჩანდა, რომ მისი ხასიათის ერთ-ერთი ძირითადი თვისება მადლიერების გამოხატვა გახლავთ და საკუთარი პერსონის უკანა პლანზე გადაწევა, როდესაც უკვე გაკეთებული საქმის შედეგებზე საუბრობს. მან ასევე უდიდესი მადლიერებით მოიხსენია ის უცხოელი მეცნიერები, ჟურნალის ავტორები, რომლებმაც აგვისტოს ომის დროს საქართველოში თანაგრძნობის და თანადგომის წერილი გამოაგზავნეს.




* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული ჟურნალი „ფენომენოლოგიური კვლევები“ (ტომი 28) იუწყება: „2004 წლის 24 მაისს თბილისის უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია ამერიკული ენციკლოპედიის **„ფენომენოლოგია მსოფლიო მასშტაბით“** შესახებ... კონფერენცია... დაგვირგვინდა „საქართველოს ფენომენოლოგიის საზოგადოების“ ჩამოყალიბებით, რომელსაც ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის **ზურაბ კაკაბაძის** სახელი მიენიჭა“.




ქართული ფენომენოლოგიის საზოგადოება, რომელსაც ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი მამუკა დოლიძე ხელმძღვანელობს, მსოფლიო ფენომენოლოგიური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია.

მსოფლიო ფენომენოლოგიის საზოგადოების პრეზიდენტმა **ანა ტერეზა ტიმიენიჩკამ** ამერიკულ ენციკლოპედიაში „ფენომენოლოგია მსოფლიო მასშტაბით“ (გამოცემული 2002 წელს) მამუკა დოლიძის ორი ფუნდამენტური შრომა დაბეჭდა და ავტორი საგამომცემლო ჯგუფის წევრად მიიწვია.

„Culture&Philosophy“-ის 2008 წლის ნომრის პრეზენტაცია ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ფილოსოფიის ინსტიტუტში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, აგრეთვე სეულში, ფილოსოფიის მსოფლიო კონგრესზე და ლონდონის უნივერსიტეტში.

ჟურნალის მეორე, 2009 წლის ნომერში ავტორთა გეოგრაფიული არეალი გაიზარდა და ამ უკვე გახმაურებულ სამეცნიერო გამოცემაში აღმოსავლეთის ქვეყნების ცნობილმა სწავლულებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ბატონი მამუკა დოლიძე მასალათა ამ კრებულს ერთგვარ ხიდს უწოდებს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადებულს, სადაც თბილისი განიხილება, როგორც აღმოსავლურ-დასავლური ცივილიზაციების შემკრები ადგილი.

ჟურნალის გამოცემას წინ უძღოდა შეხვედრები, კონტაქტები საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე: ვაშინგტონში (1997 წ.) რომში (2002 წ.) სტამბულში (2003 წ.), ოქსფორდში (2004 წ.), ლონდონში (2005-2006-2007-2008 წლები). იქ მოძიებული მასალა, ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომებთან ერთად, მოცემულია და ასახული ჟურნალის ორივე ნომერში.

* * *

**გამოცემაში დაბეჭდილია: მამუკა დოლიძის** (სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი) „ქართული ფენომენოლოგიური აზროვნების ისტორია მეოცე საუკუნეში“; **ანა ტერეზა ტიმიენიჩკა** (მსოფლიო ფენომენოლოგიური ინსტიტუტი) „ადამიანის განვითარება წარმოსახვის თავისუფლებასა და სასიცოცხლო აუცილებლობას შორის“; **მამუკა დოლიძე** — „კვანტური ფიზიკის ფენომენოლოგიური კონცეფცია და თანამედროვე პროზის პოლიფონიურობა“; **პეტერ მირზეფი** (ტალინის უნივერსიტეტი) „ჰუსერლის რედუქციათა მეთოდი“; **ერკუტ სეზგინი** (სტამბოლის კულტურის უნივერსიტეტი) „ენა და სამყარო“; **ტიმ კრეინი** (ლონდონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი) — „სუბიექტური ცოდნა“; **ჰუნ დაი** (ჩინეთის ჩინგქვინგის უნივერსიტეტი) „ჩინეთის თანამედროვე ესთეტიკის მეთოდები და შედეგები გლობალურ ეპოქაში“; **ლოუნგ დინ ჰაი** (ვიეტნამის ფილოსოფიის ინსტიტუტი) „კულტურა და ფილოსოფია — ფილოსოფიური სისტემები“; **სერგეი ნიჟნიკოვის** (მოსკოვი) „სულიერი შემეცნების კონცეფცია“; **ლალი ჯოხაძე** (ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი) „ვერბალური ნიშნები და კროსკულტურული ცნობიერება; **აკაკი ყულიჯანიშვილი** (ი. ჯავახიშვილის თბილისის უნივერსიტეტი) „ქართული კულტურა და კულტურის ტიპები; **ირაკლი კალანდია** (სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი) „ოთარ ჯიოევი — კულტურის ფილოსოფიური პრობლემების მკვლევარი“; „კულტურის ფილოსოფიური საკითხების კვლევა პროფესორ თამაზ ბუაჩიძის შრომებში“; **თეიმურაზ მთიბელაშვილი** (სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი) „კულტურის სიმბოლოები და კულტურათა დიალოგი“; **კახა ქეცბაია** — „უნივერსუმის მითოსური მოდელი და რელიგიური ცნობიერება“; **მარინე ამბოკაძე** (სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი) „გლობალიზაცია და კულტურათა თვითმყოფობა“; **ა. ნიზანბაევი** (ალმაატის ფილოსოფიის ინსტიტუტი) „გლობალიზაცია და პლანეტარული ეთიკის შექმნა“; „ადამიანის სუბიექტურობა, როგორც სულიერი და მორალური ფენომენი“; **გივი ამაღლობელი** („შავი ზღვის“ უნივერსიტეტი) „აბსტრაქტული პენსონიფიცირება და რეალობის დასახვა“; **ფრანცისკო ჰაბიერ ინსაუსტი უგარიზა** (ბასკეთის უნივერსიტეტი) „იდეები „დემოკრატიული“ მომავლისათვის“.

ჟურნალის რედაქტორი, ფილოსოფოსი და მწერალი მამუკა დოლიძე უკვე მესამე ნომრის პროექტზე მუშაობს:

**„განზრახული გვაქვს ჟურნალის თემატური განვრცობა, დაემატება ინტერდისწიპლინარული კვლევები, დაიბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომები, გაიხსნება ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება, სადაც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდება წერილები**

**ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაზე. ეს არის ორმხრივი დაინტერესების სფერო. ისე, როგორც ჩვენ გვაინტერესებს, რა ხდება ამერიკულ, ევროპულ თუ აღმოსავლურ სამყაროში, ასევე უცხოელებიც დიდ ინტერესს იჩენენ თანამედროვე საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრებისადმი".**

ჟურნალი **„ეძღვნება დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ოთარ ჭილაძის ხსოვნას".**

გთავაზობთ 2009 წლის ერთ-ერთი ნაშრომის ფრაგმენტებს ქართულ ენაზე.

**მამუკა დოლიძე**
**„ფენომენოლოგიური აზროვნება მეოცე საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში"**

ნაშრომში განვიხილავთ მეოცე საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა წვლილს ფენომენოლოგიური ფილოსოფიის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით გაშუქებულია ცნობილ ქართველ ფილოსოფოსთა **კოტე ბაქრაძის, ანგია ბოჭორიშვილის, ზურაბ კაკაბაძის, გურამ თევზაძის, გივი მარგველაშვილის და მერაბ მამარდაშვილის** ფილოსოფიური კონცეფციები.

გერმანიაში ყოფნისას, კოტე ბაქრაძე უშუალოდ ესწრებოდა ედმუნდ ჰუსერლის ლექციებს. მიღებული შთაბეჭდილებები და თანდართული კომენტარები საფუძვლად დაედო მის ფუნდამენტურ ნაშრომს „ესეები ახალი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიიდან". კოტე ბაქრაძის მოსაზრებით, ფენომენოლოგიურმა მეთოდმა ანტიფსიქოლოგიზმის პოზიციიდან გადაწყვიტა კანტის პრობლემა ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ. იგი ხაზს უსვამს, რომ „მეს" განცდა, როგორც საკუთარი არსებობის განცდა, სცილდება ფსიქოლოგიური მოვლენის ფარგლებს. ეს თვითრეფლექსია, კი არ ასახავს სუბიექტის არსებობას, როგორც შინაგან გარეგანს, არამედ წვდება, ემთხვევა მას იმ ზღვრულ წერტილში, სადაც გარეგანი და შინაგანი ერთად არსებობს და სადაც გვეცხადება სუბიექტი და ობიექტი განუყოფელი ერთიანობის სახით.

ანგია ბოჭორიშვილი ანტიფსიქოლოგიზმის პოზიციას იცავს ესთეტიკური ფენომენოლოგიის სფეროში („ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები"). მისი აზრით, ესთეტიკური კატეგორიები ისე უნდა დავადგინოთ, რომ გვერდი ავუაროთ ფსიქოლოგიურ ცნებებს. ფენომენოლოგიამ უნდა დასძლიოს გნოსეოლოგიზმი, ის რაც ესთეტიკას ავტონომიურობას უკარგავს...

ზურაბ კაკაბაძე ქართული ფენომენოლოგიური სკოლის ახალ თაობას განასახიერებს. მისი ცნობილი ნაშრომი – „ეგზისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცედენტალური ცნობიერება" ფენომენოლოგიის ონტოლოგიურ ვერსიას გვთავაზობს...

ასევე მნიშვნელოვანია გურამ თევზაძის თვალსაზრისი ედმუნდ ჰუსერლისა და მაქს შელერის შესახებ, რომელიც განვითარებულია მის წიგნში „მეოცე საუკუნის ფილოსოფიის ისტორია" და ნაშრომში „ნიკოლაი ჰარტმანის პონტოლოგიის კრიტიკა".

გ. თევზაძის აზრით, საზრისის მიცემის ფენომენოლოგიური პროცესი ჰარტმანის მეთოდოლოგიას შემეცნების კონცეფციად აქცევს.



ქართველი მწერალი და მოაზროვნე გივი მარგველაშვილი თავის ფილოსოფიურ შემოქმედებას ჰაიდეგერის ონტოლოგიას უძღვნის. მაგრამ მისი ნაშრომი „ცნობიერების ფენომენოლოგიური კოდები" წარმოადგენს ჰუსერლისა და ჰაიდეგერის კონცეფციათა შედარებით ანალიზს. ჰაიდეგერი არ არის ჰუსერლის მემკვიდრე და ოპონენტი მხოლოდ მეთოლოგიის თვალსაზრისით. გივი მარგველაშვილი ნათელს ჰფენს ღრმად შინაარსობრივ მიმართებას მეოცე საუკუნის ამ ორ დიდ მოაზროვნეს შორის. ორივე ფილოსოფოსს აერთიანებს ამბოხება ფილოსოფიური ტრადიციის მიმართ, ოღონდ ჰუსერლი ახდენს გადატრიალებას ტრაცედენტალური ცნობიერების სფეროში. ჰაიდეგერი კი ქმნის ახალ ონტოლოგიას...

მერაბ მამარდაშვილი ძირითადად ახალი, არაკლასიკური რაციონალიზმის პრობლემებს იკვლევდა, მაგრამ მისი წვლილი თანამედროვე ფენომენოლოგიაში მეტად საყურადღებოა. თუნდაც მარსელ პრუსტის რომანის ორიგინალური ინტერპრეტაციის გამო.

კრებული „გზის ფსიქოლოგიური ტოპოლოგია" აღნიშნული რომანის ფენომენოლოგიურ გააზრებას ეძღვნება. დრო, როგორც ცხოვრების ერთხელ ჩავლილი მდინარე, განუმეორებელია: რაც იყო, ის აღარ არის, მაგრამ რაც არის, მას შეიძლება მივანიჭოთ გარდასულ მოვლენათა აზრი. მამარდაშვილის ინტერპრეტაციით, მარსელ პრუსტი მოგვითხრობს არა თავისი ცხოვრების შესახებ, არამედ ის გადმოგვცემს თავის ამჟამიერ შემოქმედებას – თუ როგორ იქმნება და იბადება ხელახლა ის, რაც სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. საქმე გვაქვს აწმყოსთან, რომელიც მნიშვნელობს, როგორც წარსული და არა გარდასულის მოგონებასთან. ახალი დროის გარდასახვა, ძველ, ბავშვობის დროინდელ პერიოდში ფენომენოლოგიური აქტია, რომელიც წარსულის იდეალიზაციას ახდენს, მის ფაქტობრიობას არსისეულ ფენომენად გარდაქმნის. ამიტომაც არსებობს ფრანგი მწერლის გონებაში წარსული ასეთი რომანტიკული და ამაღლებული სახით. მამარდაშვილი შენიშნავს, რომ უსაზღვროა მწერლის ნოსტალგია დაკარგული დროის მიმართ. მაგრამ შეუძლებელია მეხსიერებაში ასე წვრილად, ასე გაფაქიზებულად არსებობდეს მისი ბავშვობა; აქ მოგონება გამოგონებად იქცევა; მწერალი იგონებს არა თავის ბავშვობას, არამედ ქმნის წარსულის ეკვივალენტურ ახალ რეალობას. იქნებ, არც არასოდეს ყოფილა ის, რასაც მეხსიერება ასე მონდომებით გვიხატავს? წარსულს ხომ აწმყოს გადასახედიდან ენიჭება განსაკუთრებული აზრი და ხიბლი. ის, მისი ძიების, მისი უკუქცევის ძალით იტვირთება ახალი, არსობრივი მნიშვნელობით და თუ ეს ძიება დაუსრულებელია, მაშინ ბავშვობის სამყაროც უსასრულოდ ფართოვდება. მწერალი გადადის რეალობის ყოველგვარ საზღვარს, რათა დაკარგული დროის ამაო ძიებაში, მოგონება გამოგონებად აქციოს, ცხოვრებით დამძიმებული ხსოვნა „ახალი წარსულის" თავისუფალ შემოქმედებად გარდაქმნას.




მარსელ პრუსტის რომანის ასეთი ინტერპრეტაცია გვიჩვენებს, თუ როგორ ესმის მერაბ მამარდაშვილს ფენომენოლოგია; ეს არის აზროვნების, როგორც შემოქმედებითი პროცესის რეალიზაციის აქტი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფია ფენომენოლოგიას გაიაზრებს ცნობიერების და ყოფიერების ერთიანობის შუქზე, რომელიც, ამავე დროს, მათ შორის არსებულ პრინციპულ განსხვავებაც გულისხმობს.

* * *

**განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ანა-ტერეზა ტიმიენიჩკას ნაშრომის სიცოცხლის ფენომენოლოგიის შესახებ.**

რედაქტორი რეზიუმეში აღნიშნავს:

სიცოცხლე უნდა შეიცნო და შეიგრძნო არა მის კერძო შემთხვევათა განსაზღვრისა და მარტივი განზოგადოების გზით, არამედ წინასწარ უნდა ჩაწვდე მას იმ უზოგადესი და განუსაზღვრელი პროცესის წიაღში, რასაც ყოფიერების ინდივიდუალიზაცია ჰქვია. ყოფნა-არყოფნის მოძრაობაში არსებული სიცოცხლე უპირველესად არის შემოქმედების თავისთავადი აქტი, პროცესი, რომელშიც უამრავი ფაქტორი მონაწილეობს...

სიცოცხლე თითქოს თავისუფლად, შემოქმედებითი ნახტომების გზით ვითარდება, მარტივი შენაერთიდან რთული ორგანიზმისკენ, რაც ნიშნავს, რომ ჭეშმარიტად ეს პროცესი შებრუნებული სახით მნიშვნელობს და რომ **ღმერთი, სამყაროს ინდივიდუაციის უმაღლესი და საბოლოო შედეგით, სინამდვილეში ამ პროცესის პირველ საწყისსა და საფუძველს შეადგენს.**

ყოველი ცოცხალი არსი და უმთავრესად ადამიანი, თავის შემოქმედებით თავისუფლებაში მიემართება იქით, საიდანაც ის აუცილებლობით მომდინარეობს. **ამიტომ თავისუფლება სულაც არ ნიშნავს თავისუფლებას.** გვაქვს თავისუფლება რეალურ ძალთა მოქმედებაში, გვაქვს თავისუფლება შემოქმედების სფეროში, მაგრამ გვაქვს თუ არა თავისუფლება დასახული მიზნისა და მისწრაფების მიმართ?

პასუხი ამ შეკითხვაზე თავისუფლებისა და აუცილებლობის ერთიანობას გულისხმობს. ეს აუცილებლობა სხვა არაფერია თუ არა სიცოცხლის სამყაროს ინტენციონალობა, მისი მეტაფიზიკური მიზანმიმართება, რომელიც... გრძელდება ყველასა და ყველაფრის მიღმა უსასრულოდ, ყოფიერების შემოქმედებითი ინდუვიდუაციის თვალუწვდენელ პერსპექტივაში.

**სურათებზე: სეულის მსოფლიო ფილოსოფიური კონგრესის ფოტომატიანე (2008 წ.).**

მასალა მოამზადა
**ნინო ვანიძემ.**

# მწერლის ანდერძი და ქართველი ქალბატონები



**28 ოქტომბერი. მცხეთა. გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღე. ტაძარს რომ ვუახლოვდებოდით, ბინდისფერში გახვეულიყო სვეტიცხოველი. მოძღვარმა გვითხრა, რომ იმ დღეს, გრ. რობაქიძის ნათესავები და თაყვანისმცემლები მისულან, მწერლის ფოტოთი. ხატიც შეუწირავთ, სულის მოსახსენიებელი პანაშვიდიც გადაუხდიათ... ემიგრანტი მწერლის ცნობილი, სევდის აღმძვრელი ანდერძი, რომ მწიფობის თვეში, ყოველ მის დაბადების დღეს, მიდიოდეს სვეტიცხოველში ქართველი დედა და სანთელს ანთებდეს მისთვის, სხვადასხვა თაობამ იცის. „მეტს არას ვთხოვო მე საქართველოს"...**

**უკვე სულ დაბინდებულიყო, როცა სვეტიცხოველში ოთხი ქალბატონი შემობრძანდა... უხმაუროდ, განსაკუთრებული მოწიწებით დადგა იმ რობაქიძისეულ „პაწია სალოცავთან". სანთლები დაანთეს და თვალზე ცრემლმომდგარნი გავიდნენ ტაძრიდან.**

**ეს იყო 28 ოქტომბერს დანთებული ბოლო სანთლები...**

**„საქართველო არ მოკვდება"... მწერლის ანდერძს ასრულებენ ქართველი ქალბატონები.**



მითი და სინამდვილე

# მოოქროვილი მედალიონის უკანა მხარე

გასული კვირა საქართველოს მოსახლეობაზე სრული საინფორმაციო შეტევით აღინიშნა. ისე, როგორც ყოველთვის ბოლო 6 წლის განმავლობაში „აგრესორი“ საქართველოს ხელისუფლება იყო, მასთან ერთად ქართველი ხალხის მხსნელი, მშვიდი ძილის გარანტორი, აშშ-ი. პრეზიდენტის მიერ დაგეგმილ-განხორციელებულმა პიარკამპანიამ ჯერაც არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ქართული მედია არ გვაკლდა მას ამერიკულიც დაემატა, რასაც ისეთი აღტაცებული ჟივილ-ხივილი მოჰყვა ჩვენში, თითქოს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი დაგვებრუნებინოს. განსაკუთრებულ სიხარულს ვერ მალავდა რადიო „იმედის“ კორესპონდენტი ნანუკა ჟორჟოლიანი და მის მიერ მიწვეული, ყველა დროის „უდიდესი მსახიობები“ სიხარულიძე-ცინცქილაძე — საქართველოს პრეზიდენტზე გადაღებული ფილმი, ჰოლივუდელი ვარსკვლავის ენდი გარსიას მონაწილეობით მთელ მსოფლიოს გააცნობს ჩვენს ბედკრულ ისტორიას, ხანგრძლივ ბრძოლას რუსეთის უღლისგან განთავისუფლებისთვისო. კაცმა რომ თქვას 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, სწორედ მოსკოვმა უბოძა მაშინდელ საბჭოთა რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა, დიპლომატიურადაც აღიარა და საელჩოებიც გახსნა. ეს უბრალოდ, ჩვენი ჟღურტულა მსახიობ-წამყვანების შესახსენებლად. გარსიას მიერ განსახიერებული პრეზიდენტი თუ ვინმეს პოპულარობას მოუტანს — სააკაშვილია. საქართველო, როგორც ყოველთვის, ახალ ისტორიაში მეორე პლანზე იქნება, მასობრივი როლის მსახიობებით. გმირის დამხმარის ფუნქცია მან დამოუკიდებლობის პირველსავე წელს შეიძინა. მე თუ პრეზიდენტი არ ვიქნები სოფელი სოფელს, ქალაქი ქალაქს დაეტაკება, ამბობდა გამსახურდია. მომდევნოც არ ღალატობდა წინამორბედს, — მე, მსოფლიოში ცნობილი დიპლომატი რომ არა, საქართველოს ვინც ცნობდა, ვინ გაუწევდა ანგარიშსო, ამბობდა ის. მისმა შთამომავალმა ცნობის ლექსიკა წინამორბედის საწინააღმდეგოდ შეატრიალა. გვაუწყა რა — ჩემს დროინდელ საქართველოს თუ ცნობენ, თორემ შევარდნაძის საქართველოს უცხოელები წლობით ეძებდნენ მსოფლიო რუკაზეო.

დაუშრეტელი იყო და არის ქვეყნის პირველების წვლილი საკუთარი პიროვნების განდიდებისათვის. აქედან საქართველოს ჯერჯერობით არაფერი უხეირია. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა, ვინაიდან სააკაშვილის „გასათეთრებლად“ იქნება მიმართული გარსიას როლი. „გათეთრება“ კი აუცილებელია ტალიავინის კომისიის დასკვნის შემდეგ. ასეა ჩაფიქრებული ჰოლივუდელთა პარტნიორი ქართული მხარის მიერ. საქართველო, როგორც ყოველთვის დანამატი, ფონი იქნება.

გარსიას გამაყრუებელი კვირეულის დროს თითქოს შეუმჩნევლად ჩაიარა ამერიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვის შედეგებმა. ეს, ერთი შეხედვით. სინამდვილეში, ელექტრონული მედიის ჯიქური პრესის წყალობით დაგვამახსოვრებინეს სააკაშვილის რეიტინგის ათი პროცენტით ზრდა, ნაციონალთა პოპულარობა, ხელისუფალთა წარმატებების ამსახველი სხვა მაჩვენებლები, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს — მუსიკას ვინც უკვეთავს, ის მღერის. გამოთქმა პირველ, მეორე და მესამე სიუჟეტსაც ეხება. გამოკითხვის შედეგები სააკაშვილის პიროვნების მიმართ ეჭვშეპარულ დასავლეთსაც წარედგინება. გამოკითხვის შედეგები თავის ნიშას მოძებნის აშშ-ს ადმინისტრაციის მოხელეთა თავებშიც.

მუდმივი პიარკამპანია, მუდმივი ფინანსურ ყურადღებას ეფუძნება. არ დააფინანსებ — არ იქნება რეკლამა, „ოლვეისის“ საფენებივით პერმანენტულად ტელეეკრანებზე ყოფნა პრეზიდენტს კარგად აქვს დაცდილი. ტრიალებს, ტრიალებს „ლაივში“ პირველის პორტრეტი, მასთან ერთად ფონის შემქმნელი საქართველო.



ფოტო ჟურნალ „ტაიმიდან“.

ამას წინათ ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა „ტაიმმა“ ფოტოსურათებით გაჯერებული სტატია მიუძღვნა პატივცემულ მიხეილს, სათაურით — „ის გადაურჩა რუსეთთან ომს, დაამარცხა ოპოზიცია და გახდა დასავლეთის მედია ვარსკვლავი, მაგრამ როგორი მოკავშირეა მიხეილ სააკაშვილი“?

სტატიის ავტორი ნათან თორნბურგი, სააკაშვილის მოწვევით, ერთი კვირა იმყოფებოდა საქართველოში. მან პრეზიდენტთან ერთად მოიარა ანაკლია, აჭარა, კახეთი, თბილისი. რესპექტაბელური ჟურნალისთვის, როგორიც „ტაიმია“ მიუკერძოებლობა უმთავრესია, მაგრამ საბაზრო ეკონომიკურ მსოფლიოში, განსაკუთრებით მძაფრი რეცესიის დროს, როგორც ჩანს, ზემოთ ნახსენები გამოთქმა — ის მღერის, ვინც მუსიკას უკვეთავს, ძალაშია. სტატიის ავტორი მაქსიმალურად ეცადა არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, თუმცა ისეთ ფერებში წარუდგინა სტატიის გმირი ამერიკელ და მსოფლიო მკითხველს, უკეთესს, რომ ვერ ინატრებდა სააკაშვილი. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ტოკიოში აშენებული მაღლივი სასტუმროს მეპატრონე, გაუთავებელი საჯარო კრიტიკის მიუხედავად, გულდამშვიდებით აცხადებდა, რომ ის მიესალმება თუნდაც უარყოფით გამოხდომებს, ვინაიდან ისიც რეკლამაა. „ტაიმის“ კორესპონდენტმა ყველაფერი ილონა სააკაშვილის ძეგლის შექმნისათვის, ხოლო ირგვლივ არსებული პეიზაჟი მკითხველისთვის მეორეხარისხოვნად დატოვა. მაგალითად: „ტალიავინის მოხსენება დაადანაშაულებს საქართველოს პირველი გასროლისთვის. ომმა წერტილი დაუსვა სააკაშვილის ოცნებას საქართველოს გაერთიანებისთვის“. გარდა ამისა, მოხსენებამ შესაძლოა, დააზიანოს სააკაშვილის იმიჯი იმ საქმეში, რასაც ჰქვია დასავლეთის დარწმუნება, რომ სააკაშვილი სანდო სამხედრო და ეკონომიკური პარტნიორია“. „მრავალწლიანი სასაზღვრო ინციდენტების შემდეგ ომი 2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო, როდესაც სააკაშვილმა ბრძანა დაებომბათ ცხინვალი. ეს იყო კოლოსალური გაუთვლელობა“.

„სამხრეთ ოსეთის ლიდერი ედუარდ კოკოითი სააკაშვილს ფსიქიკურად გაუწონასწორებელ, არამყარ და მატყუარა ადამიანად მოიხსენიებს“. „რუსები უარს ამბობენ სააკაშვილთან დალაპარაკებაზე. ისინი ადანაშაულებენ მას გენოციდში, 350 ოსის განადგურებაში“, „სააკაშვილის გრანდიოზული გეგმები არ ხიბლავს მის ოპონენტებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ის, ისე, როგორც მსოფლიოს მრავალი ლიდერი, გაგიჟებულია ძალაუფლებაზე“. „2007 წლის ნოემბერში სააკაშვილის პოლიციამ უპასუხა ანტისამთავრობო დემონსტრაციებს ცემით, ლიდერთა დაპატიმრებით, ტელევიზიების დახურვით. ა. წ. აპრილს ოპოზიცია კვლავ გამოვიდა ქუჩებში მისი გადადგომის მოთხოვნით, მაგრამ ამ შემთხვევაში სააკაშვილმა თავი შეიკავა. მან ხელი არ შეუშალა პროტესტანტებს ქუჩების გადაკეტვაში. ქართველებს დისკომფორტის გამო უკმაყოფილება მოეძალათ, დაიღალნენ და სახლებში წავიდნენ“.

სტატიის უმთავრესი თემა სააკაშვილის პორტრეტია, „სააკაშვილი 41 წლის, ინტელექტუალთა ოჯახიდანაა. მამა ექიმი, დედა პროფესორი. 1993 წლიდან აშშ-ია, კერძოდ, კოლუმბიის უნივერსიტეტში. ის რამდენიმე წლის განმავლობაში ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში ცხოვრობდა, სწავლობდა და მუშაობდა კერძო სექტორში, ვიდრე ის საქართველოში არ გაიხმეს. სააკაშვილს ხიბლავს იმის თქმა, რომ აშშ-ში გატარებულმა დრომ შეასწავლა მას თავისუფლების და იდეალიზმის აღქმა. მას არა მარტო ამერიკისადმი აქვს პატივისცემა და აღტაცება, არამედ ამერიკული ყაიდის პოლიტიკოსების მიმართაც. მრავალი ქართველისგან განსხვავებით ის არ ეწევა. სვამს, მაგრამ ცოტას მის ირგვლივ მყოფებთან შედარებით. ის ყოველთვის თავისუფალია ქცევებში, ურთიერთობებში. უყვარს ლამაზმანთა წრეში ყოფნა. სააკაშვილი დაუდგრომელია. მისი ამოუწურავი ენერგია ათქმევინებს კოლუმბიის უნივერსიტეტის სწავლულს მიტჩელს — ადრენალინიანი ხელისუფლება. სააკაშვილს კომუნიკაბელურობის უსაზღვრო ნიჭი აქვს, რამაც ის საერთაშორისოდ აღიარებული გახადა მას შემდეგ, რაც 2003 წლის უსისხლო, ვარდების რევოლუციის შემდეგ გახდა ქვეყნის მმართველი. სააკაშვილი წარმოსადეგი კაცია, 193 სანტიმეტრის სიმაღლის. ის ყველაზე მაღალ ქართველად მეჩვენა საქართველო-ბელორუსიის კალათბურთელთა მატჩამდე. სააკაშვილი პოლიგლოტია. ერთი კვირის განმავლობაში ის მელაპარაკებოდა რუსულად, ესპანურად და რაც მთავარია მის სასახელო ინგლისურად. სააკაშვილის ამჟამინდელი აღმაფრენის წყარო ბათუმია, რომელიც ისეთი სიჩქარით ვითარდება, ჩინელებსაც კი გააწითლებდა.

ჯონ სტეინბეკი 1948 წელს ბათუმს სასიამოვნო პატარა ქალაქად მოიხსენიებს. დღეს, რომ მას ის ენახა, ვერ იცნობდა. საახალწლოდ, ერთ-ერთ განახლებულ მოედანზე ხულიო იგლესიასის კონცერტი გაიმართება, რომელთანაც მიდის მოლაპარაკება ერთ მილიონ დოლარზე“.

სტატიაში უხვადაა ნახსენები რუსეთის აგრესიული სახე და პუტინის დაპირებაც — სააკაშვილის ერთი ადგილით დაკიდების თაობაზე. ბაჩო ახალაიას სიტყვებით ისიც არის ნათქვამი, რომ რუსეთმა სააკაშვილს სხვა არჩევანი არ დაუტოვა, მას თავი უნდა დაეცვა. თემურ იაკობაშვილის სიტყვებიცაა მოყვანილი, რომ „ოპოზიცია დამარცხებული, გულუბრყვილო და გამყიდველია“ და ა. შ. ყველას ჩამოთვლას საგაზეთო გვერდები არ ეყოფა.

მხოლოდ ერთ ადგილას არის ნახსენები — „ჩრდილო კაროლინის ნახევარი ზომის, პატარა ქვეყანა“. არც ერთი სიტყვა ამ ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ყოფის, გაძვალტყავებული ეკონომიკის, გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობის შესახებ. არც ერთი კითხვა ერთი მილიონი დოლარის გადამხდელ სააკაშვილს ხულიო იგლესიასის კონცერტისათვის, რატომ უტირის მშიერმწყურვალი ხალხი, ხალხი, რომელსაც შაქარი და პური ენატრება. სტატიის შემდეგ ერთიორად გაიზრდება არაორდინალური პრეზიდენტის მიმართ ინტერესი. მას არა მარტო ხელს ჩამოართმევენ, არამედ გულშიაც ჩაიკრავენ. ოპოზიციონერთა განცხადება — ხელს არავინ ართმევსო, მთლად სინამდვილეს არ შეეფერება. სააკაშვილით გატაცება, თუნდაც შეკვეთილი, არახალია. დასავლეთი, კერძოდ აშშ ოდებს უძღვნიდა აფრიკელ ლიდერებს, მათ შორის ჟან ბედელ ბოკასას, მუგაბეს და სხვებს. თუ რა მიიღეს, ცნობილია. იქაც, ისე, როგორც აქ, ქვეყანა და ხალხი არავის ახსოვდა და ახსოვს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი

## დედამიწის ზურგზე



### აშშ-ს სანაპირო დაცვის თვითმფრინავი სამხედრო ვერტმფრენს შეეჯახა

ინციდენტი ხუთშაბათს საღამოს მოხდა კალიფორნიის სანაპიროზე. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 9 კაცი. მიმდინარეობს სამაშველო ოპერაცია.

* * *

### ოდესის ცენტრში იწვის შენობა-არქიტექტურის ძეგლი, დაიღუპა სახლის ერთი მცხოვრები

რუსოვის სახლში, რომელიც აგრეთვე ცნობილია ქალაქის მცხოვრებლებისთვის, როგორც გაევსკის აფთიაქი, ხანძარს აქრობს 10 სახანძრო გათვლა. ცეცხლმა მოიცვა მთელი შენობა, ინგრევა დერეფნები და კედლების ელემენტები. მახლობლად არის კიდევ ერთი ისტორიული შენობა. სამი დღის წინათ ოდესის მერი ჩიოდა, რომ „რუსოვის სახლის დაკარგვა დანაშაულია“.

* * *



### ხანძარი ნავთობის საწყობში ინდოეთში: 5 დაიღუპა, 150 დაიჭრა, 6 უგზო-უკვლოდაა დაკარგული

ცეცხლის ალი მოსჩანს 25 კილომეტრის სიშორეზე, ყველაფერი მოიცვა კვამლის შავმა სქელმა ღრუბელმა. ინდოეთის არმიის სამხედრო მოსამსახურეები მეხანძრეებთან ერთად ცდილობენ ხანძრის ჩაქრობას. ხანძარს ებრძვის 35-ზე მეტი სახანძრო ბრიგადა.

* * *

### აშშ-ში შეიქმნა სასამართლო პრეცედენტი: გუანტანამოს ტუსაღებს შეიძლება უფრო ნაკლები ვადები განუსაზღვრონ, ყოფნის პირობების გამო

ამ საქმეს საფუძველი დაუდო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ილინოისის შტატში, რომელმაც 15 ნაცვლად 8 წელი მიუსაჯა ალი ალ-მარის, რომელმაც აღიარა თავისი დანაშაული, მხარი დაეჭირა ტერორისტებისთვის ალ-ყაიდას საერთაშორისო დაჯგუფებიდან.

* * *

### მიშელ ობამამ დახურა ბოსტნის სეზონი, თეთრი სახლის მახლობლად მოსავალი მან უკვე მოიწია

თეთრი სახლის წინ პირველი კვალი გაჩნდა 2009 წლის მარტში. ბოსტნიდან მოწეული პროდუქტები გამოიყენება პრეზიდენტის ოჯახის, აგრეთვე ოფიციალური პირების სადილებისთვის. კვლებში იზრდება ისპანახი, სალათი, კომბოსტო და სხვადასხვა მწვანილი. სულ მოიწიეს დაახლოებით 350 კილოგრამი ბოსტნეული.



ვაი მთავრობისგან

# საქართველო - ათასი ტყუილის ქვეყანა



**გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ამ სათაურმა კომუნისტებისდროინდელი „ათასი წვრილმანის მაღაზია“ არ გაგახსენათ? ეს ჩვენი კუდაბზიკა ნაციონალები, ერთთავად კუდი ყავარზე რომ აქვთ გადებული, სიტყვიერად ებრძვიან თავიანთ წინამორბედებს, თორემ საქმით (რა თქმა უნდა, საქმეში ტყუილს ვგულისხმობ) რახანია ქართული ფეხბურთის პრესტიჟივით ჩამოიტოვეს ისინი (კომუნისტები), თუ „ათასი წვრილმანით“ აბრუებდნენ მასებს, ამათ (ნაცებმა) მთელი საქართველო „ათასი ტყუილის ქვეყნად“ აქციეს. ათასს პირობითად ვამბობ, თორემ ალბათ მსოფლიო ბანკის სპეციალისტებიც ვერ შეძლებენ იმ ტყუილების დათვლას, რასაც ხელისუფლების რბილ სავარძლებში მოკალათებული ჩვენი ნაციონალები აფრქვევენ.**

ამ მხრივ, ისევე როგორც ყველა სხვა საქმეში, გამორჩეულია ქვეყნის პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ტყუილების თხზვაში მართლაც ერთპიროვნული ლიდერია. მაგრამ ლიდერი და არა დიქტატორი, როგორც ზოგიერთს ეჩვენება. ბატონ მიხეილს შეიძლება ბევრი აუგი დავაბრალოთ, მაგრამ არამც და არამც – დიქტატორობა. პირიქით, პრეზიდენტი ყველანაირ პირობას ქმნის ქვეყანაში ტყუილთმთხზველობის შემოქმედებითად განვითარებისთვის. ამის დასტურად, სხვა თუ არაფერი, მარტო ის გამოდგება, მთელი მთავრობა და პარლამენტი მამალ-მამალი ტყუილების თხზვა-ბარტყობით რომ არის დასაქმებული. და არა მარტო ისინი, „თავისუფლების ინსტიტუტი“, რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი კოლეგა ჟურნალისტებიც კი, რომელთა ერთი ნაწილი ხელისუფლების ტყუილების პიარპროპაგანდაზე, ხოლო მეორე ნაწილი ამ ტყუილების კრიტიკაზეა დაკავებული.

ასე რომ, დასამდური მაინცდამაინც ბევრი არაფერი გვაქვს. მართალია ხელისუფლებამ ადამიანები უშუალოდ პროდუქციის წარმოებაში ვერ დაასაქმა, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ტყუილების „კვლაწარმოებაში“ მაგრად დაასპეციალისტა. ამის დაუნახაობა, ბატონებო, ჩვენი მხრივ, დიდი უმადურობა იქნებოდა(!?).

რაც უნდა ძნელი სათქმელი იყოს, ეს პირველ რიგში უნდა აღიარონ ოპოზიციურმა პარტიებმა, განსაკუთრებით კი ლეიბორისტებმა, რომლებიც აგერ უკვე რამდენი წელიწადია ხელისუფლების ტყუილების მხილებით არიან დასაქმებულნი (რომ არა ეს ტყუილები, ხომ შეიძლება საერთოდ უმუშევრად დარჩენილიყვნენ?). ახლა კი, შეიძლება ითქვას, საქმე თავზე საყრელადა აქვთ, იმდენად მოჭარბებულად, რომ ამ პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა ამას წინათ ბრიფინგიც კი გამართა თემაზე: „სტაჟიანმა პენსიებმა ჩაილურის წყალი დალია“. როგორც მან განაცხადა, სააკაშვილის დაპირება, – პენსიონერებს პენსია სტაჟის მიხედვით დაენიშნოთ, მორიგი ტყუილი ყოფილა. ამას იმით ასაბუთებს, რომ ხელისუფლება შრომის წიგნაკების გაუქმებას აპირებს, უამისოდ კი ამა თუ იმ პიროვნების ნამუშევრობის სტაჟის დადგენა შეუძლებელია. ბატონმა სოსომ არ ითაკილა და ხელისუფლებას სხვა რამეშიც მოსდო შარი. მისი გაანგარიშებით, ევროპელ პენსიონერებზე თვეში 5 კილოგრამი ხორცია გათვალისწინებული, ქართველ პენსიონერებს კი თვეში თურმე 5 კილოგრამი კარტოფილით შეუცვალეს(!). მოდი და ამის მერე ნუ შეედავები მთავრობას.

რა ვქნა, გინდა დამძრახოთ, მაინც უნდა ვთქვა. ამ ორი დღის წინათ, ერთი ჩემი კოლეგა, კერძოდ, თეიმურაზ ქორიძეც შეედავა (თანაც უკვე მერამდენედ), ხელისუფლებას რეიტინგის საკითხში. მას მიაჩნია, რომ იმის შემდეგ, რაც ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთთან ერთად საკუთარი ქვეყანაც დაამარცხა, შეუძლებელია ამავე ქვეყანაში ხელისუფლებას 43-პროცენტიანი რეიტინგი ჰქონდეს. თუ ეს მართალია, მაშინ დაასახელონ სად ჩატარდა ასეთი გამოკითხვაო? მისი ვარაუდით, იგი უნდა ჩატარებულიყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის, რომელთაგან ასიდან ორმოცდასამს, უბრალოდ, სამსახურის დაკარგვისა შეეშინდებოდა. ჟურნალისტს სწამს, რომ ასეთი უმწიკვლო გამოკითხვის შედეგად მიღებული რეიტინგის წყალობით ქართველი ნაცები ხალხთან ერთად და ხალხის საკეთილდღეოდ მთებს გადააბრუნებენ!

ალბათ ასეც მოხდებოდა (ჩვენ ისეთი რეიტინგიანი მთავრობა გვყავს, თუ მოინდომა, მთებს კი არა, ოკეანესაც გადმოაპირქვავებს), რომ არა ერთი გაუგებრობა – საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომელიც განსაკუთრებული რეიტინგით სარგებლობს საქართველოში, ამჯერად არ დაიზარა და ქვეყნის ხელისუფლება ტყუილში გამოიჭირა. ეს როგორაო, გაიკვირვებთ, მისივე რეკომენდაციებით მართული მთავრობა რანაირად ჩაფლავდებოდაო? მეც ეგ არ მიკვირს?

დავაკონკრეტოთ? კი ბატონო, რადგან ასე პრინციპულად დადგა საკითხი, იძულებული ვარ გავიხსენო და თქვენც გაგახსენოთ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ამასწინანდელი განცხადება – საქართველოში ეკონომიკური რეცესია წლეულს მაისში დაასრულა და მას შემდეგ აღმავალი ნაბიჯებით მივდივართო. ეს ხელისუფლების მორიგ გამარჯვებად აღიქვა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და პარლამენტში უმალ ახალი ინიციატივით – „ეკონომიკური თავისუფლების აქტით“, ანუ ლამაზად შეფუთული ტყუილების პაკეტით წარსდგა. ამან წაიტყუა გავლენიანი დასავლური მედია („ბლუმბერგი“) და საქართველოს პრეზიდენტის განცხადება გამოაქვეყნა: „მთავრობის პროგნოზი 2010 წლის ეკონომიკური ზრდის შესახებ მოკრძალებულია. ეკონომიკურმა ზრდამ შეიძლება 6 პროცენტს მიაღწიოს მაშინ, როდესაც ეკონომიკური თავისუფლების აქტი ამოქმედდება. ამის შედეგად, შეიძლება უცხოური ინვესტიციებიც გაიზარდოსო“ – დასძენს ქვეყნის პირველი პირი.

„ბლუმბერგის“ ანალიზით, მიხეილ სააკაშვილს გეგმაში აქვს საქართველო, დუბაისა და სინგაპურის დარად, ფინანსური მომსახურებისა და კომერციის ცენტრად აქციოს, ისევე, როგორც ტურიზმისა და ენერგეტიკული ტრანზიტის ადგილად.

პრეზიდენტის ბაქიბუქს კი ვართ მიჩვეულები, მაგრამ ეს ნამეტან გაბუქვად, სიშლეგედ და დაბოლებად ხომ არ გეჩვენებათ? განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა შეიტყობთ, რომ საქართველოს ეკონომიკა 2010 წლის ივნისამდე რეცესიაში დარჩება. ასეთ დასკვნას იძლევა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის გათვლებით მომავალ წელს ქვეყნის ეკონომიკა 2-3 პროცენტით დაეცემა. ფონდის ანალიზითვე, ეკონომიკა ახალი შოკებისგან დაზღვეული ვერ იქნება. კრიზისის სოციალური შედეგები კი, რაც კომპანიების გაკოტრებასა და უმუშევრობის ზრდაში გამოიხატება, გაისად ყველაზე თვალშისაცემი გახდება.

ახლა რა ვქნათ, რა თავში ვიცეთ, საკუთარი ვირტუოზული შესაძლებლობებით ატრუებულ პრეზიდენტს დავუჯეროთ თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომლის რეკომენდაციებითაც აგერ უკვე მერამდენე წელია საქართველოს ეკონომიკას ვაყვავებთ და იმავდროულად ვანგრევთ კიდეც(?!) დაჯერებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ აი სიმღერაზე კი – „ტყუილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე“ (ადრე „ყვავილების ქვეყანას“ ვამბობდით) – უარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვთქვათ, მით უფრო, რომ სოლისტებად პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის სპიკერი, ხოლო ბანის მიმცემად – ნაცების ერთიანი გუნდი უკვე შერჩეული გვყავს.

**ოთარ ხუციშვილი**

# განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „აგროინვესტბანკი“ აცხადებს საჯარო აუქციონს.

გასაყიდად გამოტანილი იქნება: 1. უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის გამზირი №150-ში არსებული 964,38 კვ.მ. ფართი და მიმდებარე 120 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

გასაყიდი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 5 ნოემბერს 12.00 საათზე სს „აგროინვესტბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე, დ. წყნეთი გურამიშვილის ქ. №39-ში, საქ. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შენობაში, მე-4 სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ქონების საწყისი ღირებულების 10 (ათი) პროცენტს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა აუქციონის კომისიას უნდა მიმართოს შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;

ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი. ბე გადახდილი უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „აგროინვესტბანკის“ კოდი – 220101703, სალიკვიდაციო ანგ. №700161403, შიდა ანგ. 00908001, საიდენტიფიკაციო კოდი – 201947572, სს „აგროინვესტბანკის“ მომსახურე ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკი.

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ სხვა პირის სახელით მოქმედებს;

დ) იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები უნდა წარმოდგენილი იქნას არა უგვიანეს 2009 წლის 5 ნოემბერს 11.30 საათისა.

ყველა სხვა პირს, რომელთაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

დამატებითი ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სს „აგროინვესტბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე: ტელ: 31-27-18 (7043), 899-51-13-82.

საააუქციონო კომისია
ლიკვიდატორი **რ. ცაციაშვილი**

სიახლე



## თანამედროვე ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა

**29-დან 31 ოქტომბრამდე საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე, მე-11 პავილიონში რეკლამის, პოლიგრაფიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა – „Geopolygraphy@Advertisina – Elcomcaucasus“ გაიმართა. გამოფენის ორგანიზატორი „ექსპო ჯორჯია“, ხოლო მხარდამჭერი ქ. თბილისის მერია იყო.**



გამოფენაზე, 30 საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილ იქნა 40-ზე მეტი ადგილობრივი და უცხოური კომპანია, შემდეგი პროდუქციით: პოლიგრაფიული მასალები, დანადგარები, ტექნოლოგიები, აქსესუარები და პროდუქცია, სრული სარეკლამო მომსახურება, უახლესი სარეკლამო ტექნოლოგიები, სარეკლამო აქსესუარები და ბიზნეს სუვენირები. ასევე ტრადიციული და არატრადიციული (განახლებადი) ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია, ელექტროტექნიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ვიდეომეთვალყურეობის და დაცვის სისტემები, საკონსულტაციო კომპანიები, მედიის წარმომადგენლები და სხვა.

გამოფენა დღეს დაიხურება, მაგრამ ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ მომავალშიც აუცილებლად გააცნობენ მომხმარებელს ახალ მიღწევებს თანამედროვე ტექნოლოგიებში.

ელგუჯა ნადარეიშვილი,
ავტორის ფოტო



კალათბურთი

# ყოჩაღ, გიო!

**ჩვენი უნიჭიერესი თანამემამულე გიორგი შერმადინი თანდათან უშინაურდება ათენის „პანათინაიკოსის“ ვარსკვლავურ შემადგენლობას.**

დასტურად ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში რუსეთის „ხიმკისთან“ ჭაბუკი ქართველი ლეგიონერის მიერ მოგროვილი 10 ქულაც გამოდგება, ასეთი მონაგარით კი ბერძნულ გრანდში მის პარტნიორთაგან ბევრი ვერ დაიკვეხნის. მათგან საუკეთესომ დიამანტიდისმა 22 ქულას მოუყარა თავი, ხოლო პეკოვიჩმა — 20-ს.



**გაუწყებთ ამავე დღეს გამართული დანარჩენი შეხვედრების შედეგებსაც:**

**„ა“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ — „ციბონა“ 81:59, „ვილერბანი“ — „ფენერბახჩე“ 76:78 (დამატებით დროში, 64:64ძ, „სიენა“ — „ჟალგირისი“ 84:64.

„სიენა“, „ბარსელონა“ — 2-2, „ჟალგირისი“, „ფენერბახჩე“ — 1-1, „ვილერბანი“, „ციბონა“ — 0-0 მოგება.

**4-5 ნოემბერს ითამაშებენ:** „ვილერბანი“ — „სიენა“, „ფენერბახჩე“ — „ციბონა“, „ჟალგირისი“ — „ბარსელონა“.

**„ბ“ ჯგუფი.** „უნიკახა“ — „ოლიმპიაკოსი 86:68, „ორლეანი“ — „რიტასი“ 62:69, „ეფესი“ — „პარტიზანი“ 77:67.

„უნიკახა“, „რიტასი“ — 2-2, „ოლიმპიაკოსი“, „ეფესი“ — 1-1, „პარტიზანი“, „ორლეანი“ — 0-0 მოგება.

**4-5 ნოემბერს ითამაშებენ:** „ოლიმპიაკოსი“ — „რიტასი“, „პარტიზანი“ — „ორლეანი“, „უნიკახა“ — „ეფესი“.

**„გ“ ჯგუფი.** ცსკა — „რომა“ 69:74, „ტაუგრესი“ — „მაკაბი“ 86:81, „ოლიმპია“ — „მაროსი“ 75:81.

„რომა“ — 2, „ტაუგრესი“, „მაკაბი“, ცსკა, „მაროსი“ — 1-1, „ოლიმპია“ — 0 მოგება.

**4-5 ნოემბერს ითამაშებენ:** „მაკაბი“ — ცსკა, „მაროსი“ — „რომა“, „ოლიმპია“ — ტაუგრესი“.

**„დ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ — „ხიმკი“ 101:66, „ოლდენბურგი“ — „მილანი“ 70:79, „რეალი“ — „პროკომი“ 94:72.

„პანათინაიკოსი“ — 2, „ხიმკი“, „რეალი“, „მილანი“, „ოლდენბურგი“ — 1-1, „პროკომი- — 0“ მოგება.

**4-5 ნოემბერს ითამაშებენ:** „რეალი“ — „პანათინაიკოსი“, „ხიმკი“ — „ოლდენბურგი“, „პროკომი“ — „მილანი“.

ჭადრაკი

# ბოლო ტური გადაწყვეტს

**სერბულ ნოვი სადში მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა მე-8 ტურში ბულგარეთს სძლია 3:1 (ნანა ძაგნიძე ევროპის ჩემპიონ ანტუანეტა სტეფანოვას**



**დაუზავდა, ლელა ჯავახიშვილმა ადრიანა ნიკოლოვასთან ქულა გაიყო, სოფიკო ხუხაშვილმა და ბელა ხოტენაშვილმა ივა ვადენოვა და ელზა რაევა დაამარცხეს.** ამ მოგებით ჩვენებმა, სულ მცირე, ვერცხლის მედალი დაიბევეს. „ოქროს“ ბედი რუსეთ-სომხეთის ბოლო ტურის მატჩზეა დამოკიდებული, რადგან ჩრდილოელმა მეზობლებმა ასევე 3:1 მოუგეს ჩეხებს და ინდივიდუალური მონაგარით გვისწრებენ. გადამწყვეტი ორთაბრძოლების წინ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: რუსეთი — 14 (23,5ქ, საქართველო — 14 (21,5ქ, სომხეთი — 11 (19,5ქ, უკრაინა — 11 (18ქ, სლოვენია — 10 (19,5ქ, აზერბაიჯანი — 10 (17,5ქ, ჩეხეთი — 10 (17,5ქ, რუმინეთი — 10 (17,5ქ.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ჩემპიონატზე მესამე შეხვედრა წააგო, ამჯერად — ისრაელთან 1,5:2,5, რის გამოც პირველ ათეულში მოხვედრა სათუოა.

13-13 ქულით რუსები და აზერბაიჯანელები ლიდერობენ. ორ-ორი ქულით უკრაინა, სომხეთი, ჰოლანდია, ესპანეთი და ისრაელი ჩამორჩებიან. მედლების ბედი აქ მხოლოდ ბოლო ტურში გაირკვევა რუსეთ — ესპანეთის, ჰოლანდია — აზერბაიჯანის, ისრაელ — უკრაინის და შვეიცარია — სომხეთის შეხვედრებში.

**გიორგი გაგუა**

რაგბი

# რიგში იტალიაა



**პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში დღეს დამთავრდება 19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის პირველობა. ფინალში საქართველოს ნაკრები იტალიას დაუპირისპირდება.**

ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა ნახევარფინალში რუსები დაამარცხეს 12:8. თავისი გუნდი ლელოთი მამუკაშვილმა დააწინაურა. გარდასახვა ზუსტად გამოიყენა მჭედლიშვილმა. შემდეგ რუსებმა ანგარიში საჯარიმო დარტყმით შეამცირეს 7:3. საფინალო სასტვენამდე მეტოქეებმა თითო ლელო გაიტანეს, გარდასახვა კი ვერ შეძლეს. ამ მატჩში საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მჭედლიშვილი, გოგლიჩიძე, ლოსაბერიძე, ჯიმშელაძე, ქუაძე, სინაურიძე, ღამბაშიძე, ლომიძე, მამუკაშვილი, მენაბდიშვილი, ბიწაძე, მიქაუტაძე, კვერნაძე, თხლაშვილი და ჭყოიძე.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში იტალიელებმა ესპანელებს 40:10 სძლიეს.

ფარიკაობა

# კვარცხლბეკისკენ გზა ხმლით გაიკაფეს



**ტრაბზონში დამთავრდა კადეტ მოფარიკავეთა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც ქართველი მუშკეტერებიც მონაწილეობდნენ. ვაჟთა შორის ხმალში პირველობა არავის დაუთმო ქუთაისელმა სანდრო ბაზაძემ.** მისი თანაქალაქელი მიხეილ მარდალეიშვილი მესამე ადგილზე გავიდა. გოგონათა შორის ამავე დისციპლინაზე ვერცხლის მედალს დასჯერდა თბილისელი თეოდორა კახიანი. რაპირაში მსგავს წარმატებას ასევე დედაქალაქელმა არჩილ უგულავამ მიაღწია.

ოლიმპიზმი

# კანადელებმა ჩაიბარეს

**ხუთშაბათს ოლიმპიური ცეცხლი, ამას წინათ ძველ ოლიმპში რომ აანთეს, გადასცეს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს — კანადელებს.**

„ჩვენთვის, ამაყი კანადელებისთვის, დიდი პატივი და პრივილეგიაა აქ „პანათინაიკოსის“ სტადიონზე ყოფნა, სადაც თანამედროვე ეპოქის პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართა, — თქვა ვანკუვერის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მთავარმა მმართველმა ჯონ ფერლონგმა, — ჩვენ ოლიმპიურ ცეცხლს პატივისცემით ვლებულობთ, ეს მომენტი ნიშნავს ოლიმპიური ცეცხლის დიდი კანადური ესტაფეტის დაწყებას“.

როგორც ითქვა, ეს იქნება ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე გრძელი ესტაფეტა ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე. მასში მონაწილეობას მიიღებს 12 ათასი მეჩირაღდნე, რათა ცეცხლმა მთელი კანადა შემოიაროს.

საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცმა ყველა მიიწვია კანადაში, რათა ერთად იზეიმონ 2010 წლის ზამთრის თამაშები, რადგან ეს თამაშები მარტო კანადელებს კი არა, მთელ მსოფლიოს ეკუთვნის.



ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების საწყის ეტაპზე სასტიკი მარცხი იწვნია ტრავმირებული კრიშტიანუ რონალდუს გარეშე მოთამაშე მადრიდის „რეალმა“. მანუელ პელეგრინის გუნდი მესამელიგელ „ალკოიანოსთან“ შერცხვა — 0:4.**

**ინგლისის** ლიგის თასის სტარტზე კენჭისყრამ ლონდონის „არსენალი“ და „ლივერპული“ დააწყვილა, თუმცა ამ მქუხარე დასახელების მონაწილეთა ბრძოლას ეშხი



მწვრთნელთა გადაწყვეტილებამ მოაკლო — მათ ძირითადი შემადგენლობები დაასვენეს, დუბლიორთა დავა კი „მეთოფეებმა“ მოიგეს — 2:1.

**იტალიის** „სერია-ა“-ს მორიგ ტურში ლიდერებმა ბარაქიანი გამარჯვებები მოიპოვეს: „ინტერი“ — „პალერმო“ 5:3, „იუვენტუსი“ — „სამპდორია“ 4:1.

ინტერნეტიდან

## „ფორმულა-1“-ის მილიონები



**ჟურნალმა „Sports Pro“ გამოაქვეყნა ცნობები ავტორბოლის „ფორმულა-1“ პილოტების ხელფასების შესახებ. ამ ციფრებში შესული არაა სპონსორების გადახდილი ფული და სხვა შემოსავლები, რომლებმაც, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შესაძლოა, ეს თანხები გაასამმაგოს.**

სიის სათავეშია ჯერ კიდევ „ფერარის“ პილოტი **კიმი რაიკონენი** — 45 მილიონდოლარიანი ხელფასით. შემდეგ მოდიან **ლუისი ჰემილტონი** („მაკლარენი“ძ — 18 მილიონი, **ფერნანდო ალონსო** („რენო“ძ — 15 მილიონი, **ნიკო როსბერგი** („უილისი“ძ — 8,5 მილიონი, **ფელიპე მასა** („ფერარი“ძ — 8 მილიონი, **იარნო ტრული** („ტოიოტა“ძ — 6,5 მილიონი, **სებასტიან ფეტელი** („რედ ბული“ძ — 6 მილიონი, **მარკ უებერი** („რედ ბული“ძ — 5,5 მილიონი, **ჯენსონ ბატონი** („ბრაუნი“ძ — 5 მილიონი და ა. შ.

როგორც ჟურნალი იტყობინება, ზოგიერთი პილოტი ოფიციალურ ხელფასს კომპანიებში არ იღებს.

## დაქორწინებამ ყველაფერი გააფუჭა

**ბევრი შურის თვალით უყურებდა ცნობილი რუმინელი ფეხბურთელის იანის ზიკუსა და პოპულარული მოდელის მიკაელა ტუდორის ოჯახურ ბედნიერებას. თუმცა ის დიდხანს არ გაგრძელებულა და ამ ცოტა ხნის წინათ ისინი გაიყარნენ.**

ლამაზმანი, რომლის პერიმეტრებია 92-60-92 და იმედის მომცემი ფეხბურთელი უკვე შორეულ 2003 წელს შეხვდნენ. მაშინ ზიკუ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა დიდი ფეხბურთისკენ; ქალიშვილმა კი ტრიუმფალურად გაიმარჯვა სილამაზის კონკურსში „ბიკინის დედოფალი“.

პირველ ხანებში მათი ურთიერთობა არავის სჯეროდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ ამ სახით ისინი რეკლამას იკეთებდნენ. მათი რომანი კი გრძელდებოდა. ფეხბურთელმა თავი მილანის „ინტერშიც“ კი გამოსცადა.

გაზაფხულზე ისინი დაქორწინდნენ, რამაც ყველაფერი გააფუჭა. ხუთი თვის შემდეგ ქალმა გაყრა მოითხოვა.



გახსენება და სევდა

# „ბედი დამეცა გლოვის ვარსკვლავად"...

გალერეა „ქოლგამ" 1937 წელს რეპრესირებული მწერლის ნიკოლო მიწიშვილის პირად არქივს უმასპინძლა. 41 წლის ასაკში დახვრეტილ პოეტის, პროზაიკოსის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, ვის შემოქმედებასაც ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს. საინტერესოა ნიკოლო მიწიშვილის საოჯახო ალბომი და კოლეგებთან გადაღებული უცნობი ფოტოები, ოფიციალური დოკუმენტები და ხელნაწერები. რაოდენ ძვირფასია ჩვენთვის ნიკოლო მიწიშვილისადმი მიძღვნილი ვასილ ბარნოვისა და დავით კლდიაშვილის გაწერილი ფოტოსურათები წარწერით, ანდა ქუთაისში, ქართველ მწერლებთან გადაღებული სურათები, რომლებმაც შემოგვინახა კოლაუ ნადირაძის, პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ნინა ტაბიძის, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა სახეები.



სევდიან ფიქრებს აღძრავს ნიკოლო მიწიშვილის საოჯახო ფოტოსურათები, სადაც წარმოდგენილი არიან მამა, დედა, დები... აგერ სილამაზით განთქმული ნიკოლო მიწიშვილის მეუღლე – თამარ ბაგრატიონი... მისი რამდენიმე ფოტოა შემორჩენილი.

მწერლის შემოქმედება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ტაბუდადებული იყო. 1956 წელს მოხდა მისი რეაბილიტაცია. ხოლო 2006 წელს, ნიკოლო მიწიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავთან დაკავშირებით, გამომცემლობამ „ინტელექტმა" და „არტანუჯმა" წარმოაჩინეს ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედება და მისი 5 წიგნი გამოსცეს: „წმინდანები", „არონიკაში რევოლუციის დროინდელ", „თებერვალი", „სამარადისო ზღაპარი" და „ფიქრები საქართველოზე".

„ქოლგში" წარმოდგენილი იყო ეს წიგნებიც, და ასევე, გუგა კუდავას მიერ გადაღებული ფოტოები: „ჯვარისულის ჩანახატები". სწორედ იმერეთის ლამაზ სოფელ ჯვარისაში დაიბადა ნიკოლო მიწიშვილი (სიგელაძე). გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფლის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ნიკოლო მიწიშვილის სახელი ჯვარისას სკოლას მიენიჭა, ამის შემდეგ სკოლაში ნიკოლო მიწიშვილის კაბინეტის შექმნის სურვილიც დაიბადა. „ქოლგში" წარმოდგენილი ექსპოზიცია საფუძვლად დაედება ნიკოლო მიწიშვილის კაბინეტის შექმნას.

მწერლის შვილმა ილამაზ მიწიშვილმა ექსპოზიციიდან გამოყო ერთი სურათი, რომელზეც დედ-მამა ნიკოლო მიწიშვილი და თამარ ბაგრატიონი არიან გამოსახული.

– ეს მათი უკანასკნელი სურათია, მათი ბედნიერების ბოლო წერტილი, საიდანაც ერთისთვის იმქვეყნიური ცხოვრება დაიწყო, მეორისთვის კი – ამქვეყნიური, გოლგოთის გზა.

დედაჩემი თითქმის 9 წელიწადი გადასახლებული იყო, აქ გამოფენილი რამდენიმე ფოტო იმ ქართველი ქალების სახეებს აცოცხლებს (და ისინი ძალიან ბევრი იყვნენ), რომლებმაც საკუთარ თავზე და ოჯახის ბედზე იწვნიეს პოლიტიკური რეპრესიების სუსხი. გადასახლებული ქალები თავდადებით და ერთგულებით უფრთხილდებოდნენ მეუღლეების ხსოვნას, ოჯახის სახელს, აქ დარჩენილნიც – ცხოვრების სიდუხჭირეს უმკლავდებოდნენ, ეს ქალები სათანადოდ არ არიან დაფასებული, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. საზოგადოება „მემორიალის" თავმჯდომარის გურამ სოსელიას თაოსნობით, ერთ კვირაში საზოგადოება იხილავს გამოფენას – „პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი ქართველი ქალები".



მეუღლის გარდა, 1936 წელს დააპატიმრეს ნიკოლო მიწიშვილის და – ლუბა და სამი წლით გადასახლება მიუსაჯეს. მას ბრალად წაუყენეს ანტისაბჭოთა პროპაგანდა. ძმისა და დის დაპატიმრებით აღშფოთებულმა მწერლის მეორე დამ – ლიდამ კი პროტესტის ნიშნად კომკავშირის ბილეთი ჩააბარა და რეპრესიებს მართლაც, სასწაულად გადაურჩა.

ექსპოზიციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხაზი გაუსვა პოეტმა მანანა ჩიტიშვილმა. მან გამოფენის ინიციატორების, ბატონ ილამაზ მიწიშვილისა და გამომცემლობა „ინტელექტის" ღვაწლი გმირობად შეაფასა. როდესაც 1937 წელს ნიკოლო მიწიშვილი დაუპატიმრებიათ, ოჯახიდან მთელი არქივი ტომრებით წაუღიათ – ერთი ფურცელიც კი არ შემონახულა. დიდი რუდუნებით შეგროვდა ფოტოსურათები და ხელნაწერები.

მანანა ჩიტიშვილმა ისაუბრა 20-იან წლებში, მწერლის პარიზულ ცხოვრებაზე, პარიზში გამოსცა ნიკოლო მიწიშვილმა ქართული გაზეთი „ახალი საქართველო" და ქართველ ხელოვანთა კავშირი დააარსა, რომლის შესახებაც დღეს ნაკლებად არის ცნობილი. ქართველ ხელოვანთა კავშირის წევრები იყვნენ: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი, მიხეილ ჭიაურელი და სხვები.

– პარიზიდან დაბრუნების შემდეგ, 1926 წელს ნიკოლო მიწიშვილმა საგამომცემლო საქმიანობა წამოიწყო. მან დააარსა ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველი ჟურნალი „ქართული მწერლობა", რომელმაც განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, გააერთიანა „მემარცხენეები", „არიფიონის" წევრებიც, პროლეტარული მწერლებიც...

სიცოცხლის ბოლო წლებში ნიკოლო მიწიშვილი გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას" ედგა სათავეში.

მანანა ჩიტიშვილმა, ვინც ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედებას ერთ-ერთმა პირველმა მრავალი ნაშრომი უძღვნა, გაიხსენა მწერლის უკანასკნელი გამოსვლა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე 1937 წლის 7 მაისს. ნიკოლო მიწიშვილს უთქვამს: ჩვენი მწერლობის თავზე, ხელისუფლების სახელით, ზოგიერთები უსამართლოდ ატრიალებენ „დუბინას". ეს „დუბინა" მათ რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოერთვათ, რომ ქართული მწერლობა გადარჩესო. ნიკოლო მიწიშვილმა მწერლებს მოუწოდა – ილიას გზით ევლოთ.

– მას საოცარი წინათგრძნობა ჰქონდა – 1922 წელს იგი წერდა: მე ახლა 26 წლის ვარ, მაგრამ ვატყობ, რომ ცხოვრების თავიდან დაწყება მომიხდება. ჩემის ანგარიშით, კიდევ გავძლებ 15 წელიწადს... განა ღირს ამ 15 წლის გამო თავის ტეხვა?

ზუსტად 15 წლის შემდეგ დადგა ის საშინელი აღსასრული, რაც 1922 წელს იწინასწარმეტყველა, – აღნიშნა მანანა ჩიტიშვილმა.

**„ნუ გაიხსენებთ ჩემს**
**სახელს ავად,**
**ბედი დამეცა გლოვის**
**ვარსკვლავად", –**

შემთხვევითი არც ეს სტრიქონები იყო. ეს ამონაკვნესი დღესაც გვაღელვებს და უამრავ საფიქრალს გვიტოვებს ტრაგიკულად აღსრულებულ „ცისფერყანწელთა" წარმომადგენელზე, ვისთვისაც საქართველო ჩუმად გადასაშლელი წიგნი იყო...

**თამარ შაიშმელაშვილი**
**მურად ალაშვილის ფოტო.**

ფოტოკონკურსი




ჩატარებული ფოტოკონკურსის პირველ ეტაპზე გაიმარჯვა. კონკურსის სახელწოდება იყო „ჩემი ოჯახი". ბარბარემ საჭირო 5 ფოტოსურათის ნაცვლად 9 ფოტო მიიტანა. ვერ ავარჩიეო, იმართლებს თავს.

**ჩვენმა ქვეყანამ უამრავი ქარტეხილი გამოიარა, თუმცა ამას სულიერებაზე არ უმოქმედია. საბედნიეროდ, ჩვენს ირგვლივ დღესაც უამრავი ნიჭიერი ბავშვი ცხოვრობს. მათი წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარემოზე, სადაც უნდა მოხდეს ნიჭის რეალიზაცია და მათი პროფესიული ზრდა. რადგან ხშირად ამა თუ იმ სტუდიაში სიარული და სწავლა უზარმაზარ თანხებს უკავშირდება. მშობლებს კი მათი გადახდის საშუალება არ აქვთ. ნიჭიერი მოზარდები ან სხვა საქმეს ჰკიდებენ ხელს, ან თვითონ ეძებენ გზებს ოცნებების ასრულებისთვის.**

# ბარბარე მომავალ წარმატებაზე ოცნებობს

ჩემთვის ცოტა მოულოდნელი იყო იმის აღმოჩენა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში არსებულ ფოტოგრაფთა სტუდიაში, რომელსაც გრიგოლ ჩიგოგიძე ხელმძღვანელობს, ბავშვებს სრულიად უსასყიდლოდ შეუძლიათ ფოტოგრაფის პროფესიის დაუფლება. თუმცა ყურადღება იმასაც ექცევა, აქვს თუ არა ამა თუ იმ მსურველს ფოტოხელოვანისთვის საჭირო მონაცემები.

ეს წერილი გოგონაზეა, რომელიც თავდაპირველად „უნიჭოების" კატეგორიას მიაკუთვნეს. თავად ამბობს, რომ როცა სტუდიაში მივიდა, მოსწავლეთა მიღება უკვე დაემთავრებინათ. ამიტომ მისი თავიდან მოშორება იოლი გზით გადაწყვიტეს. ამისთვის კი ზემოხსენებული ეპითეტით შეამკეს.

– გავჯიუტდი და იქიდან წამოსვლა არ მინდოდა. ჩემმა მოთხოვნამ გაჭრა და ამიყვანეს, – იხსენებს ბარბარე ასანიძე.

მამისეული ფოტოაპარატით აღჭურვილი მონდომებით შეუდგა საქმეს. შედეგმაც არ დააყოვნა. სტუდიის ინიციატივითა და ორგანიზებით

თავმდაბალ გოგონას საკუთარ თავზე ლაპარაკი დიდად არ ხიბლავს. მისთვის გაცილებით საინტერესო თემა ფოტოგრაფიაა. განსაკუთრებით პორტრეტების გადაღება მოსწონს, რადგან ადამიანის ხასიათის უხილავი ნიუანსების აღმოჩენა შეუძლია. ამის გარდა, აქვს კიდევ ერთი, ასევე ფოტოგრაფიასთან დაკავშირებული ჰობი. ძველ შავ-თეთრ სურათებს აგროვებს, მათში უფრო მეტი სულიერებააო, ამბობს. ერთ-ერთ ასეთ ფოტოს სიამაყით მაჩვენებს. დღეს შევიძინეო. ფოტო მე-19 საუკუნის ნამუშევარია და მასზე მაღალი წრის მშვენიერი მანდილოსანია გამოხატული. ძალაუნებურად ვეთანხმები ბარბარეს, რომელიც სათუთად ინახავს თავის განძს და საუბარს ვაგრძელებთ. მიყვება მომავალ გეგმებზე. მას წინ კონკურსის მეორე და მესამე ეტაპები ელოდება, რომელთა წარმატებით დაძლევის შემთხვევაში საზღვარგარეთ გაემგზავრება და ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. მას წარმატების იმედი აქვს და უკვე აღარ




მეეჭვება, რომ ჩემს წინ ნამდვილად ნიჭიერი გოგონა ზის, რომლისთვისაც ფოტო ერთი შეჩერებული კადრი კი არა, მთელი ცხოვრებაა.

**ანა წიწილაშვილი**
**სურათებზე: კადრები ბარბარე ასანიძის გამოფენიდან.**

## განცხადება შპს „ვენახის" შპს „ყვარლის მარნისათვის" მიერთების შესახებ

**შპს „ყვარლის მარანი" (ს. კ 205284618ძ წარმოადგენს შპს „ვენახის" (ს.კ 241569833ძ 100 პროცენტი წილის მესაკუთრე კომპანიას, და იმის გათვალისწინებით, რომ ორივე კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს მეღვინეობა და მევენახეობა, შპს „ყვარლის მარნის" 22.10.2009 წლის პარტნიორთა კრების ოქმისა და შპს „ვენახის" პარტნიორის, შპს „ყვარლის მარნის" 22.10.2009 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „ყვარლის მარანი" მიიერთებს შპს „ვენახს", რის შედეგადაც შპს „ვენახი" შეწყვეტს არსებობას, ხოლო შპს „ყვარლის მარანი" მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად გახდება მისი უფლებამონაცვლე. მიერთება განხორციელდება 2009 წლის 30 სექტემბრის საბალანსო მდგომარეობით. შპს „ვენახის" კუთვნილი უძრავი ქონება გადავა შპს „ყვარლის მარნის" საკუთრებაში, ხოლო შპს „ვენახის" რეგისტრაციის გაუქმებასთან ერთად დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდება დირექტორი ედუარდ ლეკიშვილი.**

## ს/ს „მერკურის" განცხადება

**2009 წლის 19 ნოემბერს 17 საათზე მოწვეულია ს/ს „მერკურის" აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. ს/ს საფირმო სახელწოდების შეცვლა;
2. ს/საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა.

ს/ს აქციონერებს გთხოვთ კრებაზე დასწრებას მისამართზე: ქ. რუსთავი, ჩერკასკის ქ. №5 (21-ე მკრ-შიძ.

**ს/ს „მერკურის" დირექტორი ლ. ლობჟანიძე**

**ჯანსულ ჩარკვიანი, ნუგზარ ფოფხაძე, არმაზ სანებლიძე თანაუგრძნობენ ლევან და ზურაბ მჭედლიშვილებს მამის**
**ომარ მჭედლიშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

**თბილისში არსებული საზოგადოება „ზუგდიდელი" თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ნუგზარ სიჭინავას მამის**
**ტიტე სიჭინავას**
**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ვეტერანი მეგზევე, ათეული წლების განმავლობაში ყოფილი №1 საგზაო სამშენებლო ტრესტის მმართველი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საპატიო მეგზევე და მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი ბატონი**
**ტიტე კიკაჩეიშვილი**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 29, 30 X, 17 სთ. გამოსვენება 31 X, 14 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ზაქარიაძის ქ. №15.**

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ვეტერანი მეგზევე, ათეული წლების განმავლობაში ყოფილი №1 საგზაო სამშენებლო ტრესტის მმართველი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საპატიო მეგზევე და მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი ბატონი**
**ტიტე კიკაჩეიშვილი**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



**მეუღლე მაია დადიანი, შვილები ოთარი, სალომე, ძმა გოჩა, დეიდები ციალა, ცისანა, მამიდა ჟუჟუნა, ბიცოლა ლამარა, ბიძაშვილები მანანა, მალხაზ კიტიები, ბაჩო ჯუღელი, მამიდაშვილი გიგოლა, დეიდაშვილები კიაზო ჭანტურია, ჯულია, მაია როდონაიები, სიძე ზურაბ ცქვიტარია, რძლები დოდო წულეისკირი, მადონა ბოჭორიშვილი, ელისო ჯუღელი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**ბადრი ოთარის ძე ჯუღელი**
**პანაშვიდი 1, 2 XI, 17 სთ. დაკრძალვა 4 XI, 14 სთ. მისამართი: ზუგდიდი, შ. კიტიას, 12. გამოსვენება ჭითაწყარის სასაფლაოს ეკლესიიდან.**

სულიერება

## ლუკა მახარებელი — სახარების ავტორი

**31 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმიდა დიდებულს მოციქულს და მახარებელს ლუკას იხსენიებს.**

ლუკა მახარებელმა დაწერა სახარება და „საქმე მოციქულთა“. მან პირველმა დახატა ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლის სახე, ყრმით, უფალ იესოთი ხელში. აწყურის ღვთისმშობლის ხატსაც ხომ მას უკავშირებენ!

ლუკა მოციქულს მოგზაურობისას ფიცარზე დაუწერია მისი მეგობრების — პავლეს და პეტრეს ხატები.

ამბობენ, რომ როდესაც ყოვლადწმინდა ქალწულს თავისი სახე დაუნახავს ლუკას დაწერილ ხატზე, წარმოუთქვამს: „ჩემგან შობილისა და ჩემი მადლი იყოს ამ ხატებთან“.

**გიული ლიპარტია**

მილოცვა

## შოთა ორჯონიკიძე - 80



**გულითადად ვულოცავთ ღირსეულ მამულიშვილს, მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მოღვაწეს, სამთო-ეკოლოგიური ტრანსპორტის განვითარების მიმართულების გენერალურ კონსტრუქტორს, საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს შოთა ორჯონიკიძეს დაბადების 80 წლის იუბილეს. მან რთული და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო და მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა არა ერთი დიდი საერო საქმე.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თაოსნობით თბილისში სპეციალური ტრანსპორტის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის შექმნა, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა მსხვილ კომპლექსად „საქსპეცტრანსად“ და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბაგირგზების სისტემების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

ვუსურვებთ ბატონ შოთას ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კვლავ დიდ მიღწევებს სამეცნიერო და საინჟინრო ასპარეზზე.

**აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი,**
**აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია**

დღის კალენდარი

31 ოქტომბერი

**21-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. შაბათი.**

**ხსენება წმიდა დიდებულისა მოციქულისა და მახარებლისა ლუკასი (Iძ; მოწამე მარინესი (IVძ; ღირსი იულიანესი (IVძ.**

### დაიბადნენ:

**1632 — იან ვერმეერ დელფტელი,** ჰოლანდიელი ფერმწერი, გარდაიცვალა 1675 წელს.

**1890 — დავით ყიფშიძე,** ფილოლოგი, ისტორიკოსი, გარდაიცვალა 1919 წელს.

**1907 — ევგენი ხარაძე,** ასტროფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გარდაიცვალა 2001 წელს.

**1930 — მაიკლ კოლინზი,** ამერიკელი კოსმონავტი, მონაწილეობდა კოსმოსურ ხომალდ „აპოლონ 11“-ის ისტორიულ ფრენაში, რომლის დროსაც ნ. არმსტრონგი და ე. ოლდრინი პირველნი გადავიდნენ მთვარეზე.

### გარდაიცვალნენ:

**1926 — დავით გურამიშვილი,** ცნობილი ფერმწერი, რეალისტური სკოლის წარმომადგენელი, დაიბადა 1857 წელს.

**1984 — ინდირა განდი,** ინდოეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დაიბადა 1917 წელს.

**1993 — ფედერიკო ფელინი,** იტალიელი მსახიობი და კინორეჟისორი, დაიბადა 1920 წელს.

### მოვლენები:

**1517 წელი** — მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარზე გამოაკრა თავისი ცნობილი 95 თეზისი.

**1905 წელი** — რუსეთში დაიწყო ებრაელთა მასობრივი დარბევა.

**1918 წელი** — უნგრეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

**1961 წელი** — კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებით სტალინის ნეშთი მავზოლეუმიდან გამოიტანეს.

**1968 წელი** — აშშ-ს პრეზიდენტმა განკარგულება გასცა ჩრდილო ვიეტნამის დაბომბვის შეწყვეტისა და ვიეტნამის მხარესთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების შესახებ.

**1984 წელი** — მოკლეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი.

**1984 წელი** — რაჯივ განდი ინდოეთის პრემიერ-მინისტრი გახდა.

**1992 წელი** — ვატიკანმა ოფიციალურად მოახდინა გალილეო გალილეის რეაბილიტაცია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**სლოვაკეთი** — რეფორმაციის დღე.

**მელიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

რასაცა გასცემ, შენია...

## გადავარჩინოთ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე!



ლევან თოთაძე თავის პატარა მარიამთან ერთად

**გამოჩენილ მეცნიერს, თვალსაჩინო ქართველ დემოგრაფს, პროფესორ ანზორ თოთაძეს ვაჟიშვილი (ლევანი, 38 წლისა) გაუხდა მძიმე ავად — დაუდგინდა აპლასტიური ანემია და სასწრაფოდ გადაიყვანეს სამკურნალოდ საზღვარგარეთ. ავადმყოფი ამჟამად იერუსალიმის საავადმყოფოში მკურნალობს. საბედნიეროდ, დაავადება მკურნალობას ემორჩილება, მაგრამ იგი, სულ მცირე, სამ თვეს გრძელდება და 150 ათას ევრომდე ჯდება. ოჯახი იძულებულია, გაყიდოს საცხოვრებელი ბინა, მაგრამ ეს თანხაც არ არის საკმარისი. ერთადერთ იმედად საზოგადოების დახმარება რჩება.**

**გთხოვთ, დაეხმაროთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენს ღირსეულ მეცნიერსა და მოქალაქეს, რომელიც წლების განმავლობაში უანგარო სამსახურს უწევდა და უწევს თავის ქვეყანას.**

**თანამოქალაქეებს, ბიზნესმენებს, ფირმებსა და კომპანიებს შეუძლიათ, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად, დახმარების თანხა გადარიცხონ ეროვნულ ვალუტაში (ლარებშიძ შემდეგი საბანკო რეკვიზიტების მიხედვით:**

**მიმღების ბანკი:**

სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკი,

ცენტრალური ფილიალი (კოდიძ 220 101 502.

მიმღების დასახელება: თოთაძე ანზორ
მიმღების ანგარიშის ნომერი: 136 380 200.

**უცხოელმა მოქალაქეებმა უნდა გადარიცხონ:**

Intermediary Bank
Citibank N.A. New York, USA
SWIFT: CITIU33

Account with Institution
Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22
3, Pushkin Street, 0205 Tbilisi, Georgia

Beneficiaru: Totadze Anzor
Account: 136 380 200.

ანეკდოტები

ტიპი ჯარიდან დაბრუნდა.

— შვილო, ძალიან გაწამებდნენ? — ეკითხება მარო.

— არა, დედი, არავინ მაწამებდა.

— ნორმალურად გაჭმევდნენ?

— კი, დედი.

— გლანძღავდნენ და გაგინებდნენ?

— მე არა, მაგრამ შენ კი მუდამ გახსენებდნენ.

* * *

— მიხო, შენი ჩანახატი კატაზე რატომ ჰგავს სიტყვასიტყვით შენი ძმის ნაწერს?

— იმიტომ, რომ სახლში ერთი კატა გვყავს.



* * *

— ეჰ, რას იზამ, მასწავლებლის ხელფასით ძალიან ვერ გაინავარდებ! — ჩაიბურტყუნა ვასილ ივანიჩმა, როდესაც 100 გრამი არყის ფული ძლივს მოიჩხრიკა ჯიბეში.

— თქვენ მასწავლებელი ხართ?

— არა, ცოლი მყავს მასწავლებელი...

* * *

ადამიანს ცხოვრება უფასოდ ეძლევა, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი ცხოვრების მანძილზე იხდის ამის საფასურს.

* * *

— ქალები ნაღდი უტვინოები ხართ, თქვენმა 68 პროცენტმა ელემენტარული არითმეტიკაც არ იცის! — ეჩხუბება ქმარი ცოლს.

— ეს მე არ მეხება. მე იმ დარჩენილ თორმეტ პროცენტს მივეკუთვნები.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.